უშიშროების სამინისტროს სტატისტიკა A3
ალ კაპონე, მუსოლინი, ნაპოლეონი, პილატე პონტოელი... A5
სატირა A7

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
კვირა, 14 ივლისი, 2002 წელი. №42
ფასი 50 თეთრი

# ალღუმი პრეზიდენტმა ჩაიბარა



საქინფორმის ფოტო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული აკადემიის ორას ოცმა კურდამთავრებულმა გუშინ ლეიტენანტის სამხრეები მოირგო. საზეიმო ცერემონია რესპუბლიკის მოედანზე მოეწყო, სამხედრო ალღუმი პრეზიდენტმა შევარდნაძემ ჩაიბარა. სამხედრო აკადემიის მეექვსე გამოშვებას შევარდნაძემ ერეკლე მეორის სახელი მიანიჭა. პრეზიდენტმა ქართული შეიარაღებული ძალების მნიშვნელობაზე ჩამოაგდო სიტყვა, ქართულ ჯარს ძირეული რეფორმების გავლა მოუხდებაო, - აღნიშნა და თქვენი დახმარებაა საჭიროო, - განუმარტა ახალგამომცხვარ ლეიტენანტებს. ქართულ არმიის მომავალ პერსპექტივებზე საუბრისას მან მეგობრები და მეზობლებიც არ დაივიწყა. **"ფასდაუდებელია აშშ-ს, თურქეთის, გერმანიის, უკრაინის, რუსეთისა და სხვების დახმარება,"** - აღნიშნა შევარდნაძემ. პრეზიდენტმა განსაკუთრებით "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. **"საქართველომ ბოლო ორ წელიწადში ნატოს 242 სამხედრო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მიმდინარე წელს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში იგი 196 ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას,"** - ამაყობს შევარდნაძე და დასძენს, რომ ქართული არმია დასავლურ და ევროატლანტიკურ სტანდარტებზე უნდა იყოს ორიენტირებული. რაც შეეხება რუსეთს, შევარდნაძე ამბობს, რომ მასთან **"თანასწორუფლებიანობაზე, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთუსაფრთხოებაზე"** ორიენტირებული ურთიერთობა უნდა გვქონდეს.

გაერთიანებული აკადემია 1993 წელს შეიქმნა. აქ ამზადებენ მოტომსროლელებს, არტილერისტებს, მფრინავებსა და მეზღვაურებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსის, დავით ლეჟავას განცხადებით, ერთწლიანი სწავლების ოცმეთაურთა კურსებზე 85 ოფიცერი, ხოლო ოთხწლიანი სწავლების ოცმეთაურთა კურსებზე სახმელეთო ჯარების 85 ოფიცერი მომზადდა. სამხედრო აკადემიის რექტორი ომარ ლეკვეიშვილი ამბობს, რომ კურსდამთავრებულები შინაგანი ჯარების რიგებში დასაქმდებიან.

სამხედრო სასწავლებელში თურქეთის დახმარებით ახალი პროგრამის რეალიზაცია დაიწყო, რომელიც ქართულ ჯარს ნატოს სტანდარტებს შეუფარდებს. აღსანიშნავია, რომ ორას ოცი კურსდამთავრებულიდან ექვსი ქალია.

# ზუგდიდში პოლიცია სრულ მობილიზებას აცხადებს



*საოლქოს თავმჭდომარე ცესკოში ბოლო ინსტრუქტაჟს იღებს*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თამარ მჭედლიშვილი

**ზუგდიდში, დღეს, ქალაქის საკრებულოსა და გამგებლის განმეორებითი არჩევნებია დანიშნული. ქალაქში ვითარება იმდენად დაძაბულია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ სრული მობილიზაცია გამოაცხადა. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო უბნებში პოლიციელების შეშვების უფლებაც სთხოვა.**

გუშინ ცესკოს წევრებმა ზუგდიდის საოლქო კომისიის თავმჯდომარეს არჩევნების წინ ბოლო ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს. არ არის გამორიცხული, არჩევნების დღეს, ზუგდიდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის რამდენიმე წევრიც ჩავიდეს.

საოლქო კომისიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყველაზე სერიოზული პრობლემები ქალაქის მერის არჩევნებს უკავშირდება. ამ პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ: ალვერ იზორია (ბლოკი "აღორძინება" – "21-ე საუკუნე"), მიხეილ არდია ("ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი"), საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი ბადრი ზარანდია, ვახტანგ ცხადაია, ტარიელ ქანთარია და ნაზი არონია.

## რა შეიძლება მოჰყვეს შეწყალებების სერიას

გიორგი ასანიშვილი

დამოუკიდებლობის მოპოვების, განსაკუთრებით კი სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების შემდეგ, ეროვნული შერიგების ლოზუნგით დაიწყო და დღემდე გრძელდება პატიმართა შეწყალებების სერია. ბოლო წლებში, პრეზიდენტ შევარდნაძის "კეთილი ნების" საფუძველზე, რამდენიმე ათასი მსჯავრდებული საპყრობილიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა. შეწყალებულ პატიმართა გრადაცია საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს - მათ შორის არიან ჯიბის და ქათმის ქურდებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც. პატიმართა ვადამდე გათავისუფლების მოტივაცია, როგორც წესი, ასეთია: ციხეებში ძალიან მძიმე პირობებია; სახელმწიფოს არა აქვს ამდენი ტუსაღის შენახვის თავი; ციხეში პატიმარი ვერ გამოსწორდება, პირიქით - იქ, შეიძლება, ის უფრო გაბოროტდეს, ზნეობრივად დაეცეს და საბოლოოდ წავიდეს ხელიდან.

მსჯავრდებულთა შეწყალების პრაქტიკა ცივილიზებული ქვეყნებისთვის სულაც არ არის უცხო. პატიმართა ვადამდე გათავისუფლებას დასავლეთშიც მიმართავენ, მაგრამ არა ისეთი ინტენსივობითა და მასშტაბებით, როგორც საქართველოში. ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმეს ძირფესვიანად ჰქონდეს შესწავლილი ქართული "პატიმართმოყვარეობის" უარყოფითი მხარეები, თორემ პრეზიდენტთან ხელმოსაწერად სისტემატურად არ შეარბენინებდნენ დამნაშავეთა ვადამდე გათავისუფლების მოგრძო სიებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

გაზონებზე ამოსული შავი A3

ევროკომისია პიტერ შოუს იმიჯის "გათეთრებაზე" ზრუნავს A3

აშშ-გაერო-ს უთანხმოება დასრულდა A4

პუტინი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, მაგრამ პანკისში ერთობლივი ოპერაციის ჩატარებას მოითხოვს A4

ლანჩი შლაპითა და ტყემლით A6

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | |
| ქუთაისი | 24 | |
| ბათუმი | 22 | |
| სოხუმი | 22 | |
| ფოთი | 23 | |
| თელავი | 28 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 23 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2100 |
| ევრო | 2.0750 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2214 |
| რუბლი | 0.0807 |

## "მრეწველები" თამაშგარე დარჩნენ

თამარ ხორბალაძე

პარასკევს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა სცადეს, საკუთარი ძალა დაენახვებინათ ხელისუფლებისთვის. ედპ, "ახლები", "ნაციონალები", "დემოკრატები", "სახალხო", "მწვანეები", ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი ერთობლივი განცხადებით პოლიტიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

პარასკევს საკმაოდ აქტიურად იხსენებდნენ გიორგი ჭანტურიას 1994 წლის მსგავს ინიციატივას და ავლებდნენ ისტორიულ პარალელებს.

თუმცა, პარასკევს არ უხსენებიათ გასულ წელს მაშინდელი ოპოზიციის მცდელობა გაერთიანებისა, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციაში შედგა და რომლის მთავარ მიზანს ზურაბ ჟვანიას დამარცხება, ანუ პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის ჩაგდება შეადგენდა.

რა თქმა უნდა, დღევანდელი ერთობა გაცილებით ფართოა და მიზანი ერთობისა გაცილებით სერიოზული, ვიდრე გასულ წელს. ამიტომ მათ შორის პარალელის გავლება არ გვსურს. თუმცა, იმ ოპოზიციური ერთსულოვნების გახსენება ერთი დეტალის გამო ჩავთვალეთ საჭიროდ - მაშინ ერთობლივ დეკლარაციაზე ოპოზიციის ხელმოწერა მრეწველების ოფისში შედგა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ახალი სკანდალი

"თავისუფლების ინსტიტუტზე" თავდასხმის შემდეგ რადიო "თავისუფლებამ" გააკეთა საპროტესტო განცხადება, სადაც მომხდარი სასტიკად დაგმო. აღნიშნული განცხადება გავრცელდა უცხოეთშიც და მას დიპლომატიური კორპუსიც გაეცნო. აშშ-ში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით სუმბაძემ აღნიშნულ განცხადებას პასუხი გასცა. საპასუხო წერილში სუმბაძე აღნიშნავს, რომ ინფორმაციისთვის ის დაუკავშირდა პრეზიდენტ შევარდნაძის ოფისის ხელმძღვანელს და მისგან შეიტყო, რომ "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევა ჩვეულებრივი კრიმინალია და არაფერი აქვს საერთო პოლიტიკურ აქტთან. პრეზიდენტის ოფისში სუმბაძეს უთხრეს, რომ აღნიშნული თავდასხმა ლევან რამიშვილის საგზაო ინციდენტს უკავშირდება. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები "24 საათთან" საუბარში შეახსენებენ პრეზიდენტის გარემოცვას, რომ გამოძიებას მომხდართან დაკავშირებით დასკვნები ჯერ არ გაუკეთებია. "დაანებოს თავი პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა დეზინფორმაციის გავრცელებას," - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტში".("24 საათი")

## დღეს თბილისს გაზის მიწოდება განუახლდა

დღეს სამგორისა და გლდანის რაიონებში ბუნებრივი აირის მიწოდება განახლდა. ნავთლუღის მილსადენზე ავარიის შედეგად დაზიანებული ექვსი ადგილის შეკეთება გუშინ დამთავრდა. **"ტექნიკური პრობლემების მოგვარებას დღეს ვამთავრებთ და ხვალ სამგორსა და გლდანში გავუშვებთ გაზს. მერე მრეწველობის ობიექტებს ჩავრთავთ და ნელ-ნელა მოსახლეობას. სადაც დავალიანება არ იქნება, ქალაქელების იმ ნაწილს არანაირი პრობლემა არ შეექმნება გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით",** - გუშინ "24 საათთან" საუბარში განაცხადა "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ცაავამ. იგი თბილისელებს ჰპირდება, რომ სამ-ოთხ დღეში დედაქალაქის ყველა უბანს ექნება ბუნებრივი აირი. **"ამ დღეებში მოვრჩებით ორთაჭალის შემოსასვლელ ხაზზე მრიცხველის დაყენებას და სულ მალე მთელ თბილისს ექნება ბუნებრივი აირი",** - სიხარული ვერ დამალა ვახტანგ ცაავამ.

**აფხაზეთისა** და სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკების პარლამენტის თავმჯდომარეები შეხვედრას გეგმავენ. შეხვედრისთვის მზადება სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა. სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე სტანისლავ კოჩიევი პირველად შეხვდება თავის ახლადარჩეულ აფხაზ კოლეგას, ნუგზარ აშუბას. კოჩიევის თქმით, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღის და დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკების ხელისუფალთა სხვადასხვა დონეებზე რეგულარულ კონტაქტებს, ერთობლივი პოლიტიკის შესამუშავებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს. მან აღნიშნა, რომ მსგავსი კონტაქტები უკვე ჩამოყალიბებულია ამ რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის. (პრაიმ-ნიუსი)

■■■

**ოზურგეთი.** არასამთავრობო ორგანიზაციამ, "გურიის პრესკლუბი" გამოაქვეყნა მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები სათაურით – "გურამ შარაძის მოღვაწეობა მშობლიური ოზურგეთისთვის მიუღებელია". აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლთა თქმით, რესპოდენტებს პასუხი უნდა გაეცათ ერთ შეკითხვაზე: როგორ აფასებთ გურამ შარაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას? მათი თქმით, პარლამენტარი გურამ შარაძე ოზურგეთელია და ამ სახის გამოკითხვა სწორედ ამ მიზნით ჩატარდა.

სატელეფონო გამოკითხვის შედეგად, გურამ შარაძის პოლიტიკური მოღვაწეობით 150 რესპონდენტიდან 48 პროცენტი უკმაყოფილოა, 24 პროცენტს კი მისი საქმიანობა მოსწონს. დანარჩენებს პასუხის გაცემა გაუჭირდათ. (ინტერპრესი)

■■■

**ოზურგეთი.** ბახვი ისტორიული პარადოქსების სოფელია. აქ დაიწერა ცნობილი პრომარქსისტული, ლენინურ "ისკრაში" გამოქვეყნებული "ბახვის მანიფესტი". აქვე იშვა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მნათობი გაბრიელ ეპისკოპოსი. აქ დაიბადნენ პირწავარდნილი ბოლშევიკები ზაალ და ნატალია ქიქოძეები, აქაური იყო სანთელივით წმინდა მოღვაწე, ქართული სიტყვიერებისა და ესთეტიკური აზროვნების მეტრი გერონტი ქიქოძე და ა. შ. ასეთი პოლარულად განსხვავებული ფაქტებისა და მოვლენების ნუსხა კიდევ შეიძლება გაიზარდოს. . .

ბახველმა ღვთისმგმობელებმა პროლეტრევოლუციის გარიჟრაჟზე სოფლის ცენტრში ეკლესია დაანგრიეს და მისი თლილი ქვებით სკოლა ააგეს. და აი, თითქმის ცხრა ათეული წლის შემდეგ ახალმა ბახველებმა წინაპართა ცოდვა გამოისყიდეს და კვლავ აღაშენეს უფლის სახლი. აქ წმინდა ნინოს სახელზე აგებული ეკლესიის გუმბათზე ჯვარი აღიმართა. ამ რიტუალში მონაწილეობდნენ, სასულიეროთაგან ბათუმ-სხალთის ეპისკოპოსი დიმიტრი, ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსი ანტონი, შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი იოსები, საეროთაგან - გურიის მხარის რწმუნებული კარლო გუჯაბიძე და აღმაშენებელი ამ ტაძრისა, ბიზნესმენი და მეცენატი, "ახალი ბახველი" ზვიად ცეცხლაძე. (თამაზ ხარაიშვილი)

■■■

**რუსთავი.** რუსთავში შარშან ცოფით გარდაცვლილი ოთარ ბურდულაძის მკურნალი ექიმი შოთა ვაშაძე, შესაძლოა, სასამართლოს წინაშე წარსდგეს.

შარშან, 10 ივლისს, 6 წლის ოთარ ბურდულაძის ცოფით გარდაცვალების გამო, ქალაქ რუსთავის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამომძიებელმა ჭეშმარიტების დასადგენად ერთწლიანი ვადა მოითხოვა, რომელიც გუშინ ამოიწურა. გამოძიების დაუსრულებლობის გამო, გამომძიებელმა მამუკა წიკლაურმა საქმის შემდგომი მსვლელობისთვის სამთვიანი ვადა მოითხოვა. ბავშვის მკურნალი ექიმის, შოთა ვაშაძის მიმართ, მკურნალობით დადგენილი ინსტრუქციების დარღვევის გამო, ეჭვი თავიდანვე არსებობდა. არსებული ეჭვი გამოძიებამაც გაამყარა, მაგრამ სამართალდამცავები ამ ეტაპზე ზედმეტი კომენტარისგან თავს იკავებენ. გამომძიებელი შოთა წიკლაური არ გამორიცხავს, რომ ექიმი შოთა ვაშაძე სასამართლოს წინაშე წარსდგეს.

■■■

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება დღევანდელი დღისთვის, ანუ სამშვიდობო ძალების ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოკაციის ათი წლისთავის აღნიშვნისთვის განსაკუთრებულად ემზადება. ცხინვალში უსაფრთხოების სპეციალური ზომების მიღება რამდენიმე დღის წინ დაიწყეს.

ცისფერჩაფხუტიანთა საიუბილეო თარიღის აღნიშვნა სამხედრო აღლუმითა და სხვა საზეიმო ღონისძიებებით ცხინვალის სტადიონზე მოხდება. წინასწარი ინფორმაციით, დღევანდელ საზეიმო აღლუმზე სიტყვით დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი ედუარდ კოკოევი გამოვა.

ამ თარიღისთვის სამშვიდობოების რუსი სარდლობაც განსაკუთრებულად ემზადება. როგორც არაოფიციალური წყაროები იტყობინებიან, განსაკუთრებული სამზადისის მიზეზი საკმაოდ სერიოზული ინციდენტია, რომელიც მათ ბატალიონში სამი კვირის წინ მოხდა.

მიიღებს თუ არა სამშვიდობოების ზეიმში მონაწილეობას ქართული მხარე, ჯერჯერობით უცნობია. დღეისთვის ცხინვალში რამდენიმე რუს მაღალჩინოსანსაც ელოდებიან. სტუმრების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ჩრდილოეთ ოსეთიდან, რუსეთიდან, აფხაზეთის და დნესტრისპირეთის თვითაღიარებული რესპუბლიკებიდან ჩავა. ცხინვალის ადმინისტრაცია ხვალისთვის ყოველგვარ ინციდენტს გამორიცხავს. (ინტერ-პრესი)




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

ჩვეულებრივი ისტორია

# გაზონებზე ამოსული შარი

ზაზა ფაჩუაშვილი

### ჩხუბი "ჯავახეთზე"

ჯავახეთის ქუჩაზე, №8 და №10 კორპუსების ეზოში, ჩხუბი მოხდა. ერთმანეთს შეეტაკნენ კერძო პირების - მოქალაქე ჯენერაშვილისა და მოქალაქე კორძაძის მიერ დაქირავებული მუშები და ადგილობრივი მოსახლეობა. სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ ერთი დაზარალებული და ერთი შარში გახვეული სახეზეა.

ამ კონფლიქტის შესახებ "24 საათი" 10 ივლისის ნომერში წერდა. ამიტომ საქმის ვითარებას მოკლედ გაგაცნობთ. ერთ მშვენიერ დღეს კორძაძემ და ჯენერაშვილმა ზემოთ აღნიშნულ ეზოში მაღაზიის მშენებლობა გადაწყვიტეს და საამისოდ ჩალიჩიც დაიწყეს.

### სადავო ბიზნეს-პროექტი

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მათ ამ კაპიტალისტური იდეის ხორცშესხმა საცხოვრებელი "ხრუშჩოვკის" ეზოში, მწვანე ნარგავებით გაშენებულ გაზონზე მოინდომეს, მეტყველებს სახელმწიფოში გამეფებულ სრულ უკანონობაზე.

საქმე ისაა, რომ ეზოებსა და გაზონებზე მშენებლობა არ შეიძლება. ეს დაუწერელი კანონიცაა და დაწერილიც, მაგრამ ყველა სახელმწიფო უწყებას აქვს სათავისოდ მორგებული ისეთი კანონქვემდებარე აქტები, რომელთა მეშვეობით ყველა დანარჩენ კანონსა და კონსტიტუციასაც კი ადვილად უვლიან გვერდს. შედეგი თვალწინ გვაქვს – დედაქალაქში, განსაკუთრებით ცენტრში, მწვანე კვადრატული მეტრიც აღარ დარჩა, რომ ჩიტმა დადინჯებულად მოსკინტლოს. ამასთან, ყველა მშენებლობის პატრონი სათანადო დოკუმენტაციით არის აღჭურვილი და თავი უკვდავი ჰგონია. ამ სიაში მოხვედრას ცდილობენ ჯენერაშვილი და კორძაძე. ერთმანეთს კი ერთ ბედქვეშ მყოფი მუშები და მაცხოვრებლები ასკდებიან.

### დაზარალებული

გუშინ ხსენებულ ეზოს კიდევ ერთხელ მიადგნენ ნიჩბებით და ძალაყინებით შეიარაღებული მუშები და საძირკვლის გათხრა დააპირეს, მაგრამ მოსახლეობამ ამის უფლება არ მისცა. მათ შორის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა, ექიმმა ქეთევან სამნიაშვილმა მუშას ნიჩაბზე ხელი უტაცა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მუშამ მას ისე უთავაზა, რომ მიწაზე დასცა და თითი გაუბზარა (ქალბატონი ქეთევანი არ გვინახავს, ვინაიდან ექიმთან იყო წასული ცნობის ასაღებად).



რამაზ ქარუმიძე



აქ მშენებლობა შეიძლება?!

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

### შარში გახვეული

დამარცხებულ ქალბატონს ტროტუარზე მდგომი "ბოლტ-გაიკით" მოვაჭრე გამოესარჩლა და მუშას წესიერებისკენ მოუწოდა (აბა, რა ექნა, როცა ადგილობრივი პოლიციის შიშით ამ კორპუსების ახალგაზრდა მამაკაცები კონფლიქტში ვერ ერევიან).

მუშებმა პოლიციას გამოუძახეს და ქუჩის მოვაჭრე შარში გახვიეს. ადგილზე გაჩნდა ზონის ინსპექტორი, ლეიტენანტი რამაზ ქარუმიძე, რომელმაც ქუჩის მოვაჭრე (?!) პოლიციაში დაიბარა. როგორც ახალგაზრდა კაცი, იგი ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელზეც ჯავრის ამოყრა შეიძლებოდა (ქალების დაჩაგვრას, მოგეხსენებათ, ასპროცენტიანი შედეგი არ მოაქვს). ამ დროს მივედით ჩვენც.

### ზონის ინსპექტორი

-ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევას, მუშებმა დაგვირეკეს, დაგვარტყესო და მივედით, - გვითხრა ქარუმიძემ.

- იმას კი არ დაურტყამს, მუშებმა დაარტყეს, - აყვირდნენ ქალები.

- ეს გაირკვევა, უნდა დაიკითხოს ერთი მხარე და მეორე მხარე.

- თქვენ მართლა დაემუქრეთ ხალხს, რომ 40 შეიარაღებულ პოლიციელს დავაყენებ და მაინც ავაშენებთო? – ვკითხეთ ჩვენ.

- თქვა, თქვა! – აყვირდნენ ქალები.

ქარუმიძემ მანქანა დაქოქა.

### პოლიციის უფროსი

ქარუმიძემ ვერ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მასთან შეხვედრამდე ჩვენ ადგილობრივი პოლიციის უფროსს გივი წოწანავას ვესაუბრეთ, რომელმაც ჩვენს კითხვას პოლიციელის მუქარის შესახებ პროვოკაცია უწოდა.

არავის არაფერი უთქვამს, პროვოკაციებს ნუ აწყობთ, - ისე გვარწმუნებდა პოლკოვნიკი, თითქოს ინციდენტის მომსწრე თავადაც ყოფილიყო, - და საერთოდ, მადლობა მითხარით, რომ ამდენს გელაპარაკებით, ასეთი რბილი და კაი კაცი რომ ვარ! – ამ სიტყვების წარმოთქმისას აჭარხლებული პოლიციელი დიქტოფონთან დაიხარა, რომ მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი სიტყვები კარგად ჩაწერილიყო.

### ფინალი

იურისტების რჩევით, ასეთ შემთხვევებში ყველაზე კარგი გამოსავალი არის სასამართლოს ძალით ბრძოლა. მოსახლეობას გამარჯვების კარგი შანსი აქვსო.

ანალოგიურ სიტუაციაში მოსახლეობის გამარჯვების პრეცედენტი იქვე, მეზობელ მეექვსე კორპუსში მომხდარა და ახლა იქ, სადაც ბეტონის მაღაზიის ჩადგმას აპირებდნენ, მშვენიერი ბაღი ყვავის.

ხალხის თქმით, იმ კორპუსს მაგრად უომია.

პოლიტიკა

# გაერთიანებულმა ოპოზიციამ "მრეწველები" თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა

პირველი გვერდიდან

დღეს, ანუ პარასკევს, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ოპოზიციურ შეხვედრაზე არ მიუწვევიათ.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ახსნა "მრეწველების" არყოფნა ამ შეხვედრაზე "24 საათთან" საუბარში ზურაბ ტყემელაძემ:

**- ჩვენ არასდროს არაფერს გავურბივართ, არც შევარდნაძესთან დაპირისპირებას, არც "მხედრიონის" ვალი გვაქვს, რომ იქ მისვლას მოვრიდებოდით. ხუთშაბათს კახეთში ვიყავით, პარასკევს რეგიონების წარმომადგენლებთან გვქონდა შეხვედრა, შესაბამისი გაგრძელებით. პერსონალური მოწვევა ჩვენთვის არავის გამოუგზავნია. ამ შეკრების შესახებ დღეს გავიგე, როცა "კურიერის" გამეორებას ვუყურე. დღეს სპეციალურად გადავამოწმე, ხომ არ მოსულია რომელიმე ჩვენგანს მოწვევა-თქო და არაფერი მსგავსი არ ყოფილა. ამიტომაც ვერ მოხერხდა ჩვენი პოზიციის დაფიქსირება ამ საკითხზე.**

- შეგიძლიათ, ახლა დაგვიფიქსიროთ თქვენი პოზიცია.

**- ყოველგვარ უსამართლობას, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, აუცილებლად დავუპირისპირდებით. კონკრეტულად რა განცხადება გააკეთეს, ვერ გეტყვით. ჩვენ ყოველგვარი ტერორის და დესტაბილიზაციის წინააღმდეგი ვართ. თუ ვინმესგან ასეთი მცდელობა იქნება, ჩვენ წინ აღვუდგებით.**

- თქვენ ხაჩიშვილის და გელაშვილის გამოშვებას მსგავს მუქარად ვერ აღიქვამთ?

**- სიმართლე რომ გითხრათ, ვერა, ვერ აღვიქვამ.**

იმის გასარკვევად, თუ რატომ არ დაუკავშირდნენ "მრეწველებს" ინიციატივის ავტორები, "24 საათმა" კომენტარი ედპ-ს ლიდერს ირინა სარიშვილს სთხოვა, რომელმაც განაცხადა:

**- ჩვენ არავინ არ მიგვიწვევია. ჩვენ გავაკეთეთ განცხადება და პარტიები დაგვიკავშირდნენ. "ნაციონალისტებთან" მე არ მილაპარაკია, "ლეიბორისტებთან" არ მილაპარაკია, კაკოსთან არ მილაპარაკია წინასწარ. თავად დაგვიკავშირდნენ. შევთანხმდით დროზე.**

**ძალიან სასიამოვნოა, თუ "მრეწველები" მოვიდოდნენ და მხოლოდ ინფორმაციის დეფიციტის გამო ვერ მოვიდნენ.**

- თქვენს შეხვედრაზე "მრეწველების" არყოფნა არ გაგკვირვებიათ?

**- ჩვენ არ გაგვიკეთებია კომენტარი მათზე, ვინც არ იყო. ჩვენი პირველივე სიტყვები ის იყო, რომ მივესალმებით ყველას, ვინც დღეს აქ არ არის და ვინც, შეიძლება, ხვალ შემოგვიერთდეს.**

მიუხედავად იმისა, რეალურად ფლობდა თუ არა ინფორმაციას "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ამ შეხვედრის შესახებ(ყურმოკვრით მაინც) და მითუმეტეს, თუ არ ფლობდა, პარასკევის ფაქტი სერიოზული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: "მრეწველები" დღეს ღამურას პოზიციაში ჩააყენეს, როცა ხელისუფლება არ "ეყრდნობა", ოპოზიცია კი "თავისად" არ მიიჩნევს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საპარლამენტო ოპოზიციას "მრეწველებისთვის" ინფორმაციის მიწოდება და მათთან კონსულტაციის წარმოება არ გაუჭირდებოდა.

ასეთ მდგომარეობაში "მრეწველები" იმ ბოლოდროინდელმა პოზიციებმა ჩააყენა, რომელსაც მათი ფრაქცია საპარლამენტო საკითხების გადაწყვეტის დროს აფიქსირებს.

სავარაუდოდ, სწორედ მათზე აკეთებდა მინიშნებას "ტრადიციონალისტი" აკაკი ასათიანი პარასკევს გამართულ პრეს-კონფერენციაზე, როცა ამბობდა, რომ ახლა თავშეკავების დრო არ არის და პოზიცია ყველამ უნდა დააფიქსიროს.

# გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი დაინტერესებულია თურქი მესხების შესახებ კანონპროექტის მიღებით

## ეს ორგანიზაცია აცხადებს, რომ უნდა შეიცვალოს კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ

ვერიკო თევზაძე

*ამ დღეებში გაერო-ს ასოციაციისა და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის(გლუკის) ინიციატივით აღმასრულებელი ხელისუფლების, მესამე სექტორისა და მასმედიისათვის ბაკურიანში ჩატარდა ტრენინგი ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში. განიხილეს და ისაუბრეს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის ძირითად ასპექტებზე, გაერო-ს უმაღლესი კომისარიატის მანდატზე. დროის მცირე მონაკვეთში პრაქტიკულ საკითხებზეც გაამახვილეს ყურადღება.*

გლუკის იურიდიული სამსახურის უფროსი ვალენტინა ცონევა სხვა თემებთან ერთად თურქი მესხების შესახებ კანონპროექტსაც შეეხო. ცონევას თქმით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ამ კანონპროექტზე დიდი ხანია მუშაობს. ევროსაბჭომ სპეციალურად გამოგზავნა ოფიციალური დელეგაცია კანონპროექტის განსახილველად. **"ჩვენ გავითვალისწინეთ მათი მოსაზრებები. ახლა იუსტიციის სამინისტრომ უნდა შეიტანოს კანონპროექტში ეს შესწორებები. შემდეგ კანონპროექტს განიხილავენ ევროსაბჭოში, ბოლოს კი საქართველოს პარლამენტში. ქართველ პარლამენტართა 85 პროცენტი კანონპროექტს არ ეთანხმება, ალბათ, რთული იქნება მისი მიღება. ვნახოთ, რა მოხდება მომავალში..."**

როგორც ცონევა ბრძანებს, თურქი მესხების საკითხთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ,**"საქართველომ უნდა შეცვალოს კანონი მოქალაქეობის შესახებ. ჩვენ უკვე ვმუშაობთ საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან."**

ვალენტინა ცონევამ ტრენინგის მონაწილეებს განუცხადა, რომ სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთში 10 ათასი ლტილვილი წავიდა და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ცონევამ დააკონკრეტა, რომ ეს ადგილობრივი საემიგრაციო სამსახურების მონაცემებია და არა გლუკისა. **"ბევრი ქართველი ითხოვს სამხრეთ ოსეთში დაბრუნებას. ქართულ-ოსურ სოფლებში მუშაობა ძალზე გვიჭირს, ვინაიდან იქ სიტუაცია უფრო დაძაბულია."**

ცონევას თქმით, წლევანდელი აღწერის მონაცემების შემდეგ საქართველოში მცხოვრებ ლტოლვილთა რიცხვი რვა ათასიდან ოთხი ათასამდე შემცირდა. **"აღწერისას გვხვდებოდნენ ისეთი პირებიც, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი საბუთები. ასეთ გაურკვეველ ვითარებაში სხვა კომპეტენტურ პირებთან ერთად, კომისიაში ჩეჩნებიც შევიყვანეთ. ამით შევეცადეთ, მაქსიმალურად გამოგვერიცხა სიყალბე, ანუ დაგვედგინა, ვინ არის ნამდვილი ლტოლვილი და ვინ არა."**

**"გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა 1999 წელს 30 მილიონი დოლარი დაკარგა გალში დანგრეული სახლების აღდგენისას, ვინაიდან სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ იქ საბრძოლო მოქმედებები განახლდა და ყველაფერი წყალში ჩაყრილი აღმოჩნდა. ახლა უკვე ჭკუა ვისწავლეთ,"** - ამბობს ვალენტინა ცონევა.

შეგახსენებთ, რომ 2000 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ჩვენს ქვეყანაში ჰუმანიტარული ორგანიზაციების კოორდინატორად დაინიშნა. გლუკი ჰუმანიტარულ დახმარებას მხოლოდ ლტოლვილებს აძლევს, დევნილები ამ სიამოვნებას მოკლებულნი არიან. ცონევა იმედოვნებს, რომ მომავალში დონორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი თანხები გაიზრდება.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის იურიდიული სამსახურის უფროსი ვალენტინა ცონევა პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. ბოლოს მასმედიის რამდენიმე წარმომადგენლისგან შეწუხებულმა ცონევამ მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ ტრენინგის თემას არ გადაუხვევდა.

თვალსაზრისი

# რა შეიძლება მოჰყვეს შეწყალებების სერიას

პირველი გვერდიდან

ყურიც უკვე მიეჩვია მასმედიის მიერ გადმოცემულ ასეთი ტიპის ინფორმაციებს : **"სამართალდამცავმა ორგანოებმა ქურდობისთვის (ყაჩაღობისთვის, ძარცვისთვის, მკვლელობისთვის და ა.შ.) დააკავეს ესა და ეს მოქალაქე, რომელიც, შეწყალების საფუძველზე, ციხიდან ვადაზე ადრე იყო გათავისუფლებული..."**.

ეს ინფორმაცია, შეიძლება, ასეც წავიკითხოთ: **"რომ არა ვიღაცის ზედმეტი ჰუმანურობა, კიდევ ერთი (ან რანდენიმე) უდანაშაულო მოქალაქე არ დაზარალდებოდა"**.

დასავლურ სამართალში მიღებულია პრინციპი - "სჯობს დაუსჯელი დარჩეს დამნაშავე, ვიდრე დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი". ქართულ სინამდვილეში კი, ეს პრინციპი ასე ამობრუნდა: "სჯობს გათავისუფლდეს დამნაშავე, მერე რა, რომ ამით იზრდება უდანაშაულო ადამიანის დაზარალების შანსი".

დამნაშავის ვადამდე გათავისუფლებას კიდევ ერთი ასპექტიც აქვს, რომელზე ლაპარაკს ადამიანის უფლებათა დამცველებიც კი, ხშირად, ერიდებიან. ეს არის დაზარალებულის უფლებები. როდესაც სასამართლო დამნაშავეს სჯის, ამით დაზარალებული იღებს ერთგვარ მორალურ კომპენსაციას, მაგრამ კანონიერი სასჯელის მოხდამდე ბოროტმოქმედის გათავისუფლებით, დაზარალებული თავს ხელახლად (პირველად - მის მიმართ დანაშაულებრივი აქტის ჩადენის დროს) გრძნობს შეურაცხყოფილად და უჩნდება განცდა, რომ ის უკვე მეორედ დაამცირეს და ეს, ჰუმანიზმის სახელით, თავად სახელმწიფომ გააკეთა. ამ შემთხვევაში, კანონის ჯოხი, რომელსაც ორი ბოლო აქვს, "დამზარალებელთან" ერთად დაზარალებულსაც მოხვდა და თანაც, უფრო მწარედაც, ვიდრე კანონდამრღვევს.

ამდენად, სისტემატურ ქართულ შეწყალებებს, ალბათ, ისევ სასჯელის ნორმების გადახედვა და შესაბამისად, ზოგიერთი მათგანის გამკაცრება, ზოგის კი შერბილება სჯობია. ოღონდ, ამ შემთხვევაში ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს ნორმები დოგმების რანგში იქნება აყვანილი და მათი რევიზია, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა (როგორც განვითარებული ქვეყნებში), გამორიცხული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარ უნდა ვიწუწუნოთ, რომ კანონმორჩილი მოქალაქეების დეფიციტს განვიცდით და კანონდარღვევა ლამის ცხოვრების ნორმად ქცეულა. როდესაც პოტენციურმა ბოროტმოქმედმა წინასწარ იცის, რომ როგორი მძიმე დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს, მაინც აქვს სასჯელის შემსუბუქების შანსი (თანაც, არც ისე მცირე), იგი ყოველთვის გარისკავს: თუ დანაშაული შერჩება, "კაცურად" (ანუ, ადამიანურად) ცხოვრების შანსი მიეცემა, თუ არადა, არც ეს იქნება საშინელება - მორიგი შეწყალების აქტი არ დააგვიანებს.

პრეზიდენტის ბოლო შეწყალების აქტი კი საერთოდ "ჰუმანიზმის მწვერვალად" იქცა: მაშინ, როდესაც მთელმა მსოფლიომ დაგმო და ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს, საქართველოში სწორედ ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებულ პატიმრებს ათავისუფლებენ!

კანონის ნორმებთან თამაში და მითუმეტეს, მათდამი უდიერ დამოკიდებულებას არც ერთი საზოგადოებისთვის სიკეთე არ მოუტანია. საეჭვოა, ეს საქართველოში მოხდეს, რომლის ხელისუფლებაც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობზე აცხადებს პრეტენზიას.

სამართალი

# უშიშროების სამინისტროს სტატისტიკა

*უშიშროების სამინისტრომ ქვეყანაში მომხდარ ეკონომიკურ დანაშაულებზე ბოლო ხუთი თვის მონაცემები გამოაქვეყნა. ჩვენს მიერ მოპოვებული საიდუმლო გრიფიანი ინფორმაცია ქვეყნის პრეზიდენტისთვის იყო მომზადებული.*

უშიშროების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები ასეთია: კონტრაბანდის, ფალსიფიკაციისა და სხვა ეკონომიკური დანაშაულის ფაქტზე უშიშროების სამინისტროში აღიძრა 42 საქმე.

დანაშაულებრივი გზით დატაცებული, გაფლანგული და სახელმწიფო მოხელეთა მიერ მითვისებულია 15 მილიონი ლარის სახელმწიფო ქონება.

შემოსავლებისა და გადასახადების დამალვის ფაქტებზე მხილებულ პირებს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხათ 11 მილიონი ლარი.

ყალბი დოკუმენტებისა და სხვადასხვა ყალბი ოპერაციების შედეგად ქვეყანაში შემოსულია 3,2 მილიონი ლარის კონტრაბანდული საქონელი.

სტრატეგიული პროდუქციის მსხვილი პარტიების საბაჟო წესების დარღვევით, კონტრაბანდული გზით შემოტანის ფაქტზე აღძრულია 16 საქმე.

5 თვის მანძილზე, გადასახადების გადაუხდელობის გამო, ბიუჯეტი 954 ათასი ლარით დაზარალდა.

# ევროკომისია პიტერ შოუს იმიჯის „გათეთრებაზე„ ზრუნავს

სოფიკო ჩხაიძე

ბრიტანეთის მოქალაქის პიტერ შოუს გათავისუფლება არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტის მხრიდან გაკეთებული განცხადებები ჯერ ძალოვანი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დასმის, შემდეგ კი ძალოვნებისვე სიცოცხლის ფასად შოუს გათავისუფლების შესახებ, სასურველ შედეგს აუცილებლად გამოიღებდა.

პიტერ შოუ რომ ჩვეულებრივი გამომძალველი კრიმინალების მიერ არ არის გატაცებული, ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარება. საეჭვოა ისიც, რომ გატაცების იდეა თვით უშუალო შემსრულებელთაგან მოდიოდა. უფრო სარწმუნოდ ჩანს ის ვერსია, რომლის თანახმადაც, "აგრობიზნესბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი ინგლისელის გატაცება შეკვეთით მოხდა. შემსრულებლები, შესაძლოა, მართლაც სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ, როგორც ამას კობა ნარჩემაშვილი და ვალერი ხაბურძანია ირწმუნებიან. თუმცა, ამ სპეცსამსახურელებისთვის საქმის მიმცემი, ალბათ, სულ სხვაგან, სავარაუდოდ, საქართველოს გავლენიან კლანებში უნდა ვეძიოთ. როგორც ამბობენ, პიტერ შოუს საქართველოს ფინანსურ წრეებში არაერთი მტერი დაუგროვდა, ისევ და ისევ მისი მხრიდან საქმიანობის არცთუ სუფთად წარმოების გამო. თუმცა, პიტერ შოუს არასახარბიელო იმიჯის გამოსწორება გუშინ ევროკომისიის საქართველოს წარმომადგენლობამ სცადა. სხვათა შორის, ხმები იმის შესახებ, რომ ევროკომისიის წარმომადგენელი კრისტოფერ პატენი პიტერ შოუს ახლო მეგობარი და, შესაბამისად, მის საქმეებში ღრმად ჩახედული პირია, საქართველოში დიდი ხანია დადის. ამჯერად კი ევროკომისიის საქართველოს წარმომადგენლობამ გაავრცელა პრეს-რელიზი, რომლითაც შეშფოთებასა და გულისწყრომას გამოთქვამს შოუს ტყვეობის გაჭიანურებისა და მას-მედიით პიტერ შოუს საქმიანობის მუქ ფერებში დახატვის გამო.

განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოთქვამს ევროკომისია პიტერ შოუს ბიზნესმენად მოხსენიების გამო.

**"პიტერ შოუ საქართველოში ექვსწლიანი მუშაობის განმავლობაში არასდროს ყოფილა კერძო ბიზნესმენი. ანაზღაურებას პიტერ შოუს მთლიანად უხდიდა ევროკომისია, რადგან ის საქართველოს ტექნიკურ დახმარებას უწევდა და გახლდათ "აგრობიზნესბანკის" კონსულტანტი"**, - ნათქვამია ევროკომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამავე განცხადებაში ევროკომისია იუწყება, რომ **"აგრობიზნესბანკის" საქმიანობის აუდიტს რეგულარულად ახორციელებდა საერთაშორისო სააუდიტო ფირმა "ერნსტ ენდ იანგი", ასევე ამოწმებდა საქართველოს ეროვნული ბანკი და არც ერთ მათგანს ბანკის საქმიანობაში საერთაშორისო და საქართველოს საბანკო პრაქტიკის და ნორმების დარღვევა არ დაუფიქსირებია"**. სავარაუდოა, რომ ევროპელთა ამ არგუმენტს საქართველოში ბევრი მოდავე გამოუჩნდება, თუნდაც, იმავე "აგრობიზნესბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სახით. კერძოდ, ჩვენთვის ცნობილია ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც "აგრობიზნესბანკის" თანამშრომელს, რომელიც შესაბამის ორგანოებს მიმართავდა ბანკში არსებული დარღვევების თაობაზე, ღამით თავს დაესხნენ და სცემეს.

სხვა მხრივ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ევროკომისიის განცხადებას იმის თაობაზე, რომ **"ბატონი შოუს მდგომარეობასთან დაკავშირებული შეშფოთება მისი ტყვეობის ხანგრძლივობასთან ერთად იზრდება და მისი სასწრაფო გათავისუფლება ყველას საფიქრალი და საზრუნავია"**.

## ვაჟკაცი პოლიციელები და ჯენტლმენი მეამბოხეები

საინტერესო შემთხვევა მოხდა კოლუმბიაში. ადგილობრივმა მეამბოხეებმა - "კოლუმბიის რევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა" - გაათავისუფლეს დატყვევებული 14 პოლიციელი იმ მოტივით, რომ "ისინი ნამდვილი ვაჟკაცები არიან". ხსენებული 14 პოლიციელი 20 საათის განმავლობაში უმკლავდებოდა მეამბოხეთა სამასკაციანი რაზმის შემოტევას და მხოლოდ მას შემდეგ დანებდა, რაც ტყვია-წამალი საბოლოოდ გამოელია და მტერმა მათი პოსტი და მიმდებარე შენობები მთლიანად დაანგრია.

პოლიციელთა ვაჟკაცობით გაოცებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ და განსაკუთრებით, სოფლის კათოლიკე მღვდელმა მეამბოხეებს დატყვევებულთა გათავისუფლება მოსთხოვა. "რევოლუციურმა არმიამ" (მისთვის უფრო შესაფერისი სახელი ჰეროინის არმია იქნებოდა), რომელიც, როგორც წესი, ტყვედ აყვანილ პოლიციელებსა და ჯარისკაცებს დაპატიმრებულ თანამებრძოლებში გასაცვლელად იყენებს, ყველა დაკავებული უპირობოდ გაათავისუფლა. როგორც "არმიის" ერთ-ერთმა მეთაურმა განაცხადა, პოლიციელებმა ამგვარი მოპყრობა თავიანთი ვაჟკაცობით დაიმსახურეს.

## მსოფლიოს უდიდესი კომპანიები

თორნიკე შარაშენიძე

ავტორიტეტულმა გამოცემამ "ფორბსმა" გამოაქვეყნა მსოფლიოს წამყვანი კომპანიების სია. სიაში კომპანიათა რეიტინგის მიხედვით დალაგებისას გათვალისწინებულია მრავალი მაჩვენებელი, რომელთა მიხედვითაც განაწილდა საბოლოო ქულები და კლასიფიკაციაც შედგა. საერთოდ, როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად მიჩნეულია საბაზრო ფასი (აქციის საშუალო ფასი გამრავლებული კომპანიის აქციათა რაოდენობაზე), მაგრამ მსოფლიოს წამყვან კომპანიათა გამოვლენისას სხვა მაჩვენებლებსაც დაეთმო ყურადღება.

| კომპანია | ქვეყანა | შემოსავალი მლნ. | მოგება მლნ. | ქონება მლნ. | საბაზრო ფასი მლნ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტიგრუპ | აშშ | 112022 | 14284 | 1051450 | 223040 |
| 2. ჯენერალ ელექტრიკ (სხვადასხვა) | აშშ | 125913 | 14128 | 495023 | 309306 |
| 3. ამერიკან ინტერნეშენალ გრუპ (დაზღვევა) | აშშ | 62402 | 5499 | 492982 | 174986 |
| 4. ექსონმობილ (ნავთობი და გაზი) | აშშ | 187510 | 15105 | 143174 | 270805 |
| 5. ბენქ ოფ ამერიკა (ბანკი) | აშშ | 5316 | 6792 | 621764 | 117090 |
| 6. ბრიტიშ პეტროლეუმ (ნავთობი და გაზი) | ბრიტანეთი | 174218 | 8010 | 141158 | 191054 |
| 7. ეიჩ-ეს-ბი-სი (ბანკი) | ბრიტანეთი | 47710 | 5406 | 695147 | 116711 |
| 8. ფენი მეი (სხვადასხვა) | აშშ | 50803 | 6067 | 799791 | 79690 |
| 9. როიალ დაჩ შელ (ნავთობი და გაზი) | ჰოლანდია | 135211 | 10852 | 111543 | 192256 |
| 10. აი-ენ-ჯი (სხვადასხვა) | ჰოლანდია | 82983 | 4096 | 620120 | 52609 |
| 11. უოლ-მარტ სტორზ (საცალო ვაჭრობა) | აშშ | 217799 | 6671 | 83375 | 240639 |
| 12. ტოიოტა (ავტომობილები) | იაპონია | 120731 | 4922 | 145824 | 98342 |
| 13. აი-ბი-ემ (კომპიუტერები) | აშშ | 85866 | 7723 | 88313 | 137721 |
| 14. უინაიტედ ბენქ ოფ სვითზერლანდ (ბანკი) | შვეიცარია | 50842 | 3010 | 745155 | 64728 |
| 15. ბი-ენ-პი პარიბას (ბანკი) | საფრანგეთი | 54321 | 3595 | 726422 | 49833 |
| 16. ფილიპ მორის (თამბაქო) | აშშ | 72994 | 8566 | 84968 | 122540 |
| 17. ტოტალ ფაინა ელფ (ნავთობი და გაზი) | საფრანგეთი | 94243 | 6853 | 77275 | 104063 |
| 18. ალიანს უორლდუაიდ (დაზღვევა) | გერმანია | 85867 | 1452 | 796262 | 54163 |
| 19. მორგან სტენლი (ფინანსური მომსახურება) | აშშ | 43727 | 2610 | 482628 | 50060 |
| 19. ეს-ბი-სი კომუნიკეიშენზ (კავშირგაბმულობა) | აშშ | 45908 | 7260 | 96322 | 114534 |
| 21. შევრონტექსაკო (ნავთობი და გაზი) | აშშ | 97863 | 3931 | 77572 | 93137 |

"ფორბსმა" გამოაქვეყნა წამყვანი ამერიკული კომპანიების სიაც. აქ გთავაზობთ მათ კლასიფიკაციას ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლის, საბაზრო ფასის მიხედვით.

| კომპანია | საბაზრო ფასი (მლნ. დოლარი) |
|---|---|
| 1. ჯენერალ ელექტრიკ | 397 452 |
| 2. მაიკროსოფტ | 336 285 |
| 3. ექსონმობილ | 293 604 |
| 4. უოლ-მარტ სტორზ | 276 006 |
| 5. პფაიზერ | 251 394 |
| 6. სიტიგრუპ | 249 474 |
| 7. ინტელი | 210 072 |
| 8. ჯონსონ ენდ ჯონსონ | 194 717 |
| 9. ამერიკან ინტერნეშენალ გრუპ | 193 333 |
| 10. აი-ბი-ემი | 184 022 |
| 11. მერკი | 146 296 |
| 12. სი-ბი-ეს კომუნიკეიშენზ | 130 058 |
| 13. ვერაიზონ კომუნიკეიშენზ | 130 037 |
| 14. სისკო სისტემზ | 119 780 |
| 15. კოკა-კოლა | 119 780 |
| 16. აოლ თაიმ უორნერ | 116 371 |
| 17. ჰოუმ დეპოტ | 113 636 |
| 18. ფილიპ მორის | 112 633 |
| 19. პროქტერ ენდ გემბლ | 110 457 |
| 20. ბერკშაირ ჰეთევეი | 109 099 |

იგივე მაჩვენებლითა და პრინციპით გამოვლინდა წამყვანი არაამერიკული კომპანიები. ესენია:

### არაამერიკული ათეული

1.ბრიტიშ პეტროლეუმი (ბრიტანეთი)
2.დაიმლერკრაისლერი (გერმანია)
3.როიალ დაჩ შელი (ჰოლანდია)
4.ტოიოტა (იაპონია)
5.მიცუბიში (იაპონია)
6.მიცუი (იაპონია)
7.ტოტალ ფაინა ელფი (საფრანგეთი)
8.ნიპონი (იაპონია)
9.იტოჩუ (იაპონია)
10.როიალ ბენქ ოფ სქოთლენდ (ბრიტანეთი)

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 8-14 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6468 | 0.638 | 0.0055 |
| US$ | 1.5461 | | 0.9861 | 0.0086 |
| €uro | 1.5673 | 1.014 | | 0.0087 |
| ¥en | 180.66 | 116.9 | 115.28 | |

### 2002 წლის 14 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1847 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4235 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4877 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2150 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3510 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1886 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0701 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4542 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3809 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1578 ლარი |

# აშშ-გაერო-ს უთანხმოება დასრულდა


უშიშროების საბჭოს სხდომა
REUTERS

უთანხმოება ერთი წლით მაინც დასრულდა. სწორედ ამ ვადით მიიღო გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ამერიკულმა სამხედრო და სამოქალაქო პერსონალმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან შესაძლო სისხლის სამართლებრივი დევნისაგან იმუნიტეტი.

პარასკევს გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია ბოსნიაში გაერო-ს სამშვიდობო მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ. ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც აშშ-მ ამ გადაწყვეტილებაზე თავისი ვეტო მოხსნა. ვეტოს მოხსნა უშიშროების საბჭოს მიერ ამერიკელთა კომპრომისულ წინადადებაზე თანხმობამ გამოიწვია. კომპრომისის თანახმად, ჰააგის სასამართლოს ერთი წლის განმავლობაში არ ექნება უფლება, სასამართლო დევნა განახორციელოს იმ ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც რომის ხელშეკრულებას (სასამართლოს დამფუძნებელი ქარტია) არ შეუერთდნენ. აშშ იმედოვნებს, რომ უშიშროების საბჭო ამ გადაწყვეტილებას ყოველწლიურად განაახლებს.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ქვეყნების უმეტესობამ რეზოლუციის მიღება გონივრულ გამოსავლად ჩათვალა, მაგრამ როგორც კანადის ელჩმა განაცხადა, უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ინტერპრეტირების უფლების მინიჭება სახიფათო პრეცედენტს ქმნის.

## პუტინი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, მაგრამ პანკისში ერთობლივი ოპერაციის ჩატარებას მოითხოვს

12 ივლისს, პირველად ბოლო 16 წლის განმავლობაში, კრემლში რუსეთის ელჩების შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე პუტინი დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს ქვეყნის ახალი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ ესაუბრა. მისი განცხადებით, საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესების მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს. ამიტომ, რუსეთისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ურთიერთობების განვითარება, განსაკუთრებით, ენერგეტიკულ სფეროში. პრეზიდენტის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დაჩქარების მიზნით, რადგან "ამის გარეშე რუსეთის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაცია შეუძლებელია". ამ მხრივ, მისი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აშშ-თან ურთიერთობების განმტკიცებას.

საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩინეთთან კავშირების გაღრმავება და, აგრეთვე, უცხოეთის ქვეყნებთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება (ანუ, იარაღით ვაჭრობა).

პუტინმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ რუსეთი კვლავინდებურად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს პანკისის ხეობაში ერთობლივი ანტი-ტერორისტული ოპერაციის განხორციელებას. შეგახსენებთ, რომ ამგვარი ოპერაციის ჩატარებას, სრულიად სამართლიანად, კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლება.

## ერევანი პროტესტს გამოთქვამს რუსეთში სომხების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით

მოსკოვის ოლქში მდებარე ქალაქ კრასნოარმეისკის მოსახლეობა ქალაქიდან სომხების გაძევებას ითხოვს. რამდენიმე დღის წინ ადგილობრივი რუსები აქ მცხოვრებ სომხებს ბინებში შეუვარდნენ და სასტიკად დაარბიეს. შედეგად 12 ადამიანი საავადმყოფოში მოხვდა. ადგილობრივი მილიცია ამ შემთხვევის გამოძიებაზე, ფაქტობრივად, უარს აცხადებს და მომხდარ ფაქტს ხულიგნობისა და არა რასისტული ქმედების კვალიფიკაციას აძლევს. რამდენიმე დღის შემდეგ რამდენიმე ასეული ადგილობრივი მოსახლე ქალაქის ცენტრში შეიკრიბა და სომხების გაძევება მოითხოვა. რუსული მხარის ცნობით, დაპირისპირების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ სომხებმა ქალაქის ბაზარი უკანონოდ დაიკავეს, რასაც ჩხუბი მოჰყვა, რომელიც ეთნიკურ ნიადაგზე შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა.

რუსეთის სომხური დიასპორა და სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ. დიასპორის ოფიციალურ განცხადებაში ჩამოთვლილია ეთნიკური სომხების წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი ვანდალური აქტი, მათ შორის სომხური სასაფლაოს შეურაცხყოფა კრასოდარში, სომხური კულტურული ცენტრის დარბევა ირკუტსკში, მკვლელობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების უამრავი შემთხვევა მთელი რუსეთის მასშტაბით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო კი თავის განცხადებაში მომხდარი ფაქტის გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს.

ცხადია, ეთნიკური სიძულვილის ახალი ტალღა მხოლოდ სომეხთა წინააღმდეგ არ არის მიმართული და მისი მსხვერპლნი ხშირად ქართველები და აზერბაიჯანელებიც ხდებიან. კრასნოდარის მხარის გუბერნატორი, ტკაჩოვი, აპირებს სპეციალური ტრენინგი ჩაუტაროს მხარის საიმიგრაციო სამსახურების თანამშრომლებს. ტრენინგის არსი, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ის არის, რომ თანამშრომლებმა ზუსტად შეძლონ ქართული, სომხური და აზერბაიჯანული გვარების ამოცნობა. მიზანი ნათელია - "კავკასიური ეროვნების პირებმა" რეგისტრაციის მიღება ვერ უნდა მოახერხონ.

თუ აქამდე მათი დისკრიმინაცია კანონის გვერდის ავლით ხდებოდა, უახლოეს დღეებში მხარის საკანონმდებლო ორგანო აპირებს სპეციალური კანონის მიღებას, რომელმაც მხარე იმიგრანტების შემოსევისაგან უნდა დაიცვას. სავარაუდოდ, ეს კანონი მხარეში მცხოვრებ რამდენიმე ათას თურქ მესხსაც შეეხება, რომლებიც, შესაძლოა, იძულებული გახდნენ, მხარე დატოვონ.

## აღმოსავლეთ აზიაში ტაიფუნები მძვინვარებს

ტაიფუნებმა და წყალდიდობამ ფილიპინებში უკვე 50 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათი უმრავლესობა წყალში დაიხრჩო ან მეწყერების მსხვერპლი გახდა.

ქვეყნის შორიახლოს ახალი ტაიფუნი, ჰალონგი მძვინვარებს, რომლის ქარების სიჩქარე საათში 195 კილომეტრს აღწევს. ფილიპინელებს იმედი აქვთ, რომ ჰალონგი მათ ქვეყანას გვერდს აუვლის, მაგრამ მისით გამოწვეული წვიმების გამო ქვეყნის მდინარეებში წყლის დონემ უკვე 180 სანტიმეტრით აიწია, რამაც დედაქალაქ მანილასა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიების დატბორვა გამოიწვია.

აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებს, მიკრონეზიას, ფილიპინებს, კორეას, იაპონიასა და ჩინეთს ზედიზედ ოთხი ტაიფუნი დაატყდა თავს, რამაც უკვე ასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.


წყალდიდობა
REUTERS

## მარტინ ლუთერ კინგი III: მამაჩემის სიკვდილის შემდეგ არაფერი შეცვლილა

თეთრკანიანი პოლიციელის მიერ შავკანიანი ახალგაზრდის ცემამ კალიფორნიის შტატის ქალაქ ინგლვუდში მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც რამდენიმე ასეული ადამიანი მონაწილეობდა, პოლიციელის, ჯერემი მორზეს დაპატიმრებას მოითხოვდა, რომელმაც 16 წლის დონოვან ჯეკსონს ჯერ ბორკილები დაადო და მერე სასტიკად სცემა. მორზეს ადვოკატი აცხადებს, რომ პოლიციელი მხოლოდ თავს იცავდა და მას კანონი არ დაურღვევია. ყველაზე ირონიული ამ საქმეში ის არის, რომ საბოლოოდ ერთადერთი კაცი აღმოჩნდა დაპატიმრებული, მიტჩელ კრუკსი, რომელმაც ცემის ფაქტი ფირზე აღბეჭდა. იგი პოლიციამ 1999 წელს დედამისის სახლიდან ვიდეომაგნიტოფონის მოპარვისა და მანქანის მთვრალ მდგომარეობაში მართვისათვის დააპატიმრა.

უმცროსი მარტინ ლუთერ კინგის განცხადებით, ლოს-ანჟელესში ზანგების მიმართ პოლიციის ძალადობას ხშირად აქვს ადგილი, განსაკუთრებით, 11 სექტმებრის შემდეგ, როდესაც პოლიციის უფლებები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1992 წელს მსგავსი ცემის ფაქტის შემდეგ ლოს-ანჟელესში დიდი არეულობები დაიწყო, რომლის ჩასახშობადაც ქალაქის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, არმია გამოეძახა. სამოქალაქო უფლებების აქტივისტები და შავკანიანი რადიკალები ამჯერადაც მსგავსი აქციებით იმუქრებიან.

# თვალით ნანახი და ყურით გაგონილი

## "თავისუფალ თეატრში" ახალი პოეტური ალმანახის პრეზენტაცია მოეწყო



კოტე ყუბანეიშვილი



გურამ ნახუტაშვილი



ნიკო გომელაური

მადი სერებრიაკოვა

წიგნის ბიზნესი საქართველოში თანდათან მომგებიანი თუ არა, მოდური მაინც ხდება. გამომცემლობა "თობალისმა" გუშინწინ "თავისუფალ თეატრში" ახალი პოეტური ალამნახის პრეზენტაცია შემოგვთავაზა, რომელშიც კოტე ყუბანეიშვილის, რატი ამაღლობელის, გაგა ნახუცრიშვილის, ნიკო გომელაურის, ალიკა დარჩიაშვილის და დათო ერისთავის ლექსები შევიდა შეზღუდული რაოდენობით.

ისე, სიტყვა "ალმანახი" – მეტად ხმამაღალი ნათქვამია. ახალი კრებული "ჯიბის" ფორმატის და ბავშვობის სასკოლო რვეულის სისქისაა. სამაგიეროდ, დაბადების დღის საჩუქრად ნამდვილად გამოდგება, მით უმეტეს, რომ იუბილარიც სახეზე იყო – პრეზენტაცია კრებულში შესული ერთ-ერთი ავტორის – ნიკო გომელაურის დაბადების დღეს დაემთხვა. წიგნის ხარისხს რაც შეეხება, აქ უკვე ნესტიან სარდაფში რამოდენიმე ათეულ წელიწადს დატოვებული ბაბუაჩემის სასკოლო რვეული მომაგონდა, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამოთქმა "ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია" – ჩვენში დიდი ხანია უზომოდ პოპულარულია. ავიღოთ, იმავე "თავისუფალი თეატრისა" და მსგავსი დაწესებულებების სწრაფვა სარდაფებისა და საეჭვოდ გარემონტებული სივრცეებისაკენ. მოკლედ, რაც უფრო "ძველია" არტეფაქტი და "მოუვლელია" შემოქმედებითი სივრცე – მით უფრო ღრმა აზრით დაუტვირთავს იგი მის პატრონს.

თუმცა, მოდით კვლავ ალმანახს და მის პრეზენტაციას დავუბრუნდეთ. კრებულის სათაურს თუ დავუჯერებთ, იგი "ჯერაც თვალით არნახოლობაზე" აცხადებდა პრეტენზიას. საბედნიეროდ, მკითხველ-მაყურებელს დიდხანს არ მოუწია "სიბნელეში" ყოფნა და კრებულიც ყველამ ვნახეთ და თავიდან ბოლომდეც სიამოვნებით ჩაგვიკითხეს გამომსვლელებმა. ავტორებმა ჯერ ალმანახში შესული ლექსები წაიკითხეს, მერე კი ძველ კრებულებსა და რჩეულებსაც გადაწვდნენ – როგორც კოტე ყუბანეიშვილმა თავად აღნიშნა – "ოღონდ ვინმემ მოუსმინოს და..."

პრეზენტაციაზე რატი ამაღლობელი არ გამოცხადდა. მოგვიანებით, სატელეფონო საუბარში თავისი არყოფნა "საქმეებით" ახსნა და ისიც დაამატა, რომ არანაირ ესთეტიკურ დისკომფორტს ალმანახში შეკრებილი ავტორების მიმართ არ განიცდის. დანარჩენ ავტორებს რაც შეეხება – კოტე ყუბანეიშვილს, ცხადია, წარდგენა არ სჭირდება. ტრადიციულად იგი სოციალურად აქტუალურ პოეზიას წარმოადგენდა და კარგად გარითმული კალამბურებით არა ერთი "ტკბილი" სიტყვა შეაწია მისი პოეზიის "მამათელ" მუზას". სახელმწიფო პოლიტიკისთვის გვერდი არც საღამოს მთავარ გმირს – იუბილარ ნიკო გომელაურს აუვლია. დარბაზმაც ერთხმად აიტაცა მისი "ქვეყანა ჩემი – ოცნების მორგი, ხატიდან მიცქერს ედუარდ-გიორგი". წარმოდგენილ პოეტებს შორის "ყველაზე მეტად პოეტის" – გაგა ნახუცრიშვილის ლირიკოსობის გამო თავად გაგამაც ბლომად "იღადავა". თუმცა მასაც არ ეყო ალმანახში შესული რამოდენიმე ლექსი და ძველი "გაჰიტებული" ლექსები და ჩანახატებიც წაგვიკითხა.

ზემოთნახსენებ პოეტებთან შედარებით ნაკლებ პოპულარულები გახლდნენ ალიკა დარჩიაშვილი და დათო ერისთავი. ეს უკანასკნელი გულწრფელად გამოტყდა, რომ პოეტი კი არა, ექიმია. ალმანახში შესული მისი ლექსებიც ძირითადად კოტე ყუბანეიშვილთან პოეტური გაბაასების მაგალითებს წარმოადგენდა. ალიკა დარჩიაშვილმა კი ორენოვანი პოეზია წარმოადგინა. ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებული მისი ლექსები ძირითადად სოციალურ თემატიკას უტრიალებდა. როგორც გაირკვა, წიგნის გამოცემაც მისი იდეა ყოფილა.

ლიტერატურული კითხვა არცთუ დიდხანს გაგრძელდა. პრეზენტაცია ფურშეტმა დააგვირგვინა. პოეტური კრებული კი უფასოდ დაურიგდათ მათ, ვინც პრეზენტაციაზე მოსვლა არ დაიზარა და ბილეთის შესაძენი ფულიც არ დაინანა.

# ალ კაპონე, მუსოლინი, ნაპოლეონი, პილატე პონტოელი...

## მსოფლიო კინემატოგრაფს კიდევ ერთი ლეგენდა გამოაკლდა

ვერა ნეფარიძე

გასული კვირა მსოფლიო კინემატოგრაფიისთვის დანაკლისით აღინიშნა. ლოს-ანჟელესის კლინიკაში 78 წლის მსახიობი-ლეგენდა – როდ სტაიგერი გარდაიცვალა. ასზე მეტი როლის შემსრულებელი მისაბაძი იყო როგორც ძველი თაობის მსახიობებისთვის, ისე თანამედროვე ჰოლივუდის ვარსკვლავებისთვისაც. ბევრ მათგანთან სტაიგერი ბოლო წლებში თანამშრომლობდა კიდეც.

"მე ვარ სამოცი პროცენტი ქალწული და ორმოცი პროცენტი - ბოზი" – ასე ახასიათებდა საკუთარ შემოქმედებით ბიოგრაფიას მსახიობი, მან ბევრი ისეთი როლი შეასრულა, რომელზეც ზოგიერთები მხოლოდ ოცნებობდნენ; სტაიგერი კი, ამ ყველაფერთან ერთად არ თაკილობდა მონაწილეობა მიეღო კომერციული კინო-პროექტების ეპიზოდებშიც.

ყოფილი მეზღვაური სწავლობდა ელია კაზანთან, რომელმაც 1954 წელს ფილმში "პორტში", სტაიგერი განგსტერის როლში მიიწვია. სტაიგერმა ამ ფილმით "ოსკარის" პირველი ნომინაცია მიიღო; თავად ოქროს სტატუეტი კი მოგვიანებით 1967 წელს, გადასცეს ფილმში "ჩახუთული აღმოსავლური ღამე" - შერიფის როლისთვის. მანამდე იყო რამდენიმე ფილმი, რამაც მსახიობს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. დევიდ ლინის "დოქტორი ჟივაგოს" ნახვის შემდეგ სერგეი ბონდარჩუკმა სტაიგერი "ვატერლოოში", ნაპოლეონის როლზე მიიწვია. ერთ-ერთი ლეგენდა ამოწმებს, რომ როდ სტაიგერმა უარი თქვა კოპოლას "ნათლიმამაში" მთავარ როლზე, მაშინ როდესაც სიამოვნებით დათანხმდა რუს რეჟისორს გადაღებებზე. როგორც ჩანს, დიქტატორის იმიჯი უფრო მომხიბლავი აღმოჩნდა ამერიკელი მსახიობისთვის. ნაპოლეონამდე სტაიგერმა სახელი გაითქვა ალ კაპონეს როლით, მოგვიანებით კი, ბენიტო მუსოლინი განასახიერა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი იყო ფრანკო ძეფირელის "იესო ნაზარეველში" პილატე პონტოელის როლი.



რეი ბრედბერი და როდ სტაიგერი REUTERS

ხუთჯერ დაქორწინებული როდ სტაიგერი იყო ორი შვილისა და ათეულობით ფილმის მამა. ამ ფილმებზე მაყურებელი ტიტრებში მითითებული მხოლოდ ერთი გვარის გამო დადიოდა. კინოს კლასიკოსმა სიცოცხლის ბოლომდე არ შეწყვიტა თამაში, ამიტომაც მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში აღმოაჩენთ მეორეხარისხოვან როლებს სილვესტერ სტალონესთან ("სპეციალისტი") თუ არნოლდ შვარცნეგერთან ("სამყაროს დასასრული"). ახალგაზრდა მსახიობები ბევრს სწავლობდნენ მისგან და სტაიგერი მათთვის დიდი ავტორიტეტიც იყო. ორი დღის წინათ, როდესაც სტალონემ მსახიობის გარდაცვალების შესახებ გაიგო, თქვა: "სტაიგერი ყველა დროის უდიდესი მსახიობი იყო"; "ლეგენდა უკვე ლეგენდა გახდა", – დაუმატა ნათქვამს პირს ბროსნანმა. "ჯეიმს ბონდს" ბედნიერება ჰქონდა, ეთამაშა სტაიგერთან ტიმ ბარტონის "მარსის შეტევაში", სადაც კლასიკოსმა შეშლილი გენერალ-მილიტარისტის როლი შეასრულა.

იუმორი და სიცოცხლის სიყვარული ის ნიშან-თვისებები იყო, რაც მსახიობს თავისი პარანოიდი და ხელისუფლებისმოყვარე პერსონაჟებისგან განასხვავებდა. მიაღწიო ნაპოლეონის სიმაღლეს და არ გავდე მას – მსახიობური ნიჭის ალბათ ყველაზე ნათელი გამოვლინებაა.

# ჯუდ ლოუს ქურდობა დასწამეს

რუმინეთში ახალი ფილმის გადაღებებმა მსახიობ ჯუდ ლოუსთვის სტარტი უსიამოვნოდ აიღო. ბუქარესტის აეროპორტში ბრიტანელი მსახიობი ლიბერალური პარტიის ლიდერმა დინუ პატრიციუმ ქურდად მიიღო და პოლიციას მისი დაპატიმრება უბრძანა. "დავინახე, თუ როგორ სხდებოდა ორი უცნობი ჩემს "ლენდ როვერში". მეგონა, მანქანას იპარავდნენ. თუმცა, შემდეგ ავტომობილის დაქირავების საბუთი მაჩვენეს და მივხვდი, რომ განგაში ტყუილად ავტეხე", - განუცხადა პატრიციუმ "ესოშიეიტიდ პრესს". გაუგებრობის მიზეზი კი გახდა ის, რომ რუმინელმა პოლიტიკოსმა რამდენიმე ხნის წინ თავისი "ლენდ როვერი" მექანიკოსთან დატოვა და, შეკეთების შემდეგ, მანქანის გაყიდვის უფლებაც მისცა. პოლიტიკოსის ყოფილი ავტომობილი მექანიკოსისგან დაიქირავა ფირმა Castel Films-მა, რომელიც ლოუს მონაწილეობით, ახალი ფილმის Cold Mountain გადაღებებს იწყებს.

ასე რომ, ბრიტანელი მსახიობი მანქანის საჭესთან ლეგალურად იჯდა, პატრიციუს განგაში კი, უსაფუძვლო იყო. თუმცა, რუმინელი პოლიტიკოსი პასუხისმგებლობის მოხსნას მაინც შეეცადა. ის ჟურნალისტებს უმტკიცებდა, რომ სიტუაცია ლოუს უხეშობის გამო დაიძაბა. "თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი იმიტომ, რომ მსახიობმა ყვირილი დაიწყო. არაკორექტული ფრაზებით მიმტკიცებდა, რომ ის ჩვენს ქვეყანაში ფულის შემოსატანად ჩამოვიდა. მოგვიანებით მითხრეს, რომ იგი ჰოლივუდის ვარსკვლავი იყო", - განმარტა პატრიციუმ. თავად ლოუმ კი კომენტარს თავი აარიდა.

# თეთრი წყვილის შავი ტყუპები

ანა კორძაია-სამადაშვილი

დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის უწყებები ამ შემთხვევას განიხილავენ, როგორც "კატასტროფას ყოველი მონაწილე პირისათვის". ბულვარულ პრესაში სათაური გამოჩნდა: "ტრაგედია".

ნუ შეშინდებით. უბრალოდ თეთრკანიან ცოლ-ქმარს, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების შემდეგ შვილს გულისფანცქალით ელოდა, ორშაბათს ორი ზანგის ბავშვი გაუჩნდა.

ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტებისთვის ეს საშინელი მარცხია. 27.000 ბრიტანელი, რომელიც მათი დახმარებით აპირებდა ბავშვის ყოლას, დაშინდა და აღარაფერი უნდა. გარდა ამისა, საქმეში იურისტებიც ჩაერთნენ. შეძლებისდაგვარად მალე ლონდონის უმაღლესი სასამართლო გადაწყვეტს, ვის ეკისრება ორი პატარა ზანგის არსებობისთვის პასუხისმგებლობა.

უზენაესმა სამოქალაქო სასამართლომ სასტიკად აუკრძალა პრესას "დაზარალებულების" სახელების გამოქვეყნება და კლინიკის ხსენება. ტყუპების, ან მათი მშობლების, ან მათი საცხოვრებელი ადგილის ფოტოსურათების დაბეჭდვისთვის ჟურნალისტებს ფულადი ჯარიმა ან სულაც თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ბულვარული გაზეთი Sun ყვება, რომ თუმცა თეთრი დედისთვის ორი შავი ბავშვის გაჩენა ნამდვილი ელდა იყო, ის თავისი ტყუპების დათმობას არ აპირებს და მას ბრიტანული კანონმდებლობაც "ლეგალურ დედად" აღიარებს. აი, მამობის ამბავი კი გართულებულია. კანონის თანახმად, მამაკაცი მაშინ ჩაითვლებოდა ტყუპების მამად, თუკი იმთავითვე, ხელოვნური განაყოფიერების დროს, დონორზე იქნებოდა ლაპარაკი. ამ შემთხვევაში კი კაცი საკუთარ შვილს ელოდა, უბრალოდ ლაბორატორიაში შეცდომა მოუვიდათ, და ვინ იცის, ვიღაც საბრალო ზანგი კაცი, რომელსაც თავის ცოლთან უნდოდა შვილის ყოლა, რა დღეში ჩავარდება, როცა დაუდგენელი ჯიშის შვილს აჩვენებენ... მოკლედ, ორივე წყვილს თამამად შეუძლია, კლინიკას უჩივლოს.

ბრიტანელი მედიკოსები იფიცებიან, რომ ასეთი შეცდომები ძალიან, ძალიან იშვიათად მოსდით. არადა, ყოველდღიური გაზეთის, The Independance-ს ინფორმაციით, ასეთი შეცდომა მედიკოსებს 2001 წელს ერთხელ უკვე მოსვლიათ. ინგლისელებისთვის ეს ბევრი ვერაფერი ნუგეშია.

აქამდე საზღვარგარეთ ორი ასეთი შემთხვევა იყო ცნობილი და შესაბამისად ბრიტანული სასამართლოსთვის პრეცენდენტი უკვე ცნობილია: თეთრკანიანმა ნიუ-იორკელმა ქალმა სხვა წყვილის შვილი დაბადა და დიდი ალიაქოთის შემდეგ საწყალ ქალს სამი წლის წინათ ბავშვის ბიოლოგიური მშობლებისათვის მიცემა მოუწია. ნიდერლანდებში კი სწორედ ბრიტანული ამბის მსგავსად განვითარდა მოვლენები: თეთრებს შავები გაუჩნდათ - იქაც სპერმა აერიათ - მაგრამ ნიდერლანდელებმა თავიანთი შავტუხა ბავშვები არაფრით დათმეს.

ახლადგაჩენილი ტყუპების "მამას" იმედი აქვს, რომ არავინ იჩხუბებს, ბავშვებს დაუტოვებენ და შავკანიანი წყვილი, რომელსაც ალბათ ასევე მალე ეყოლება მემკვიდრე ან მემკვიდრეები, შვილების გაცვლას არ მოსთხოვს.



შავი და თეთრი ტყუპები



REUTERS

## ორი სიტყვით

### ვირტუალური ფესტივალი

თოთხმეტ ივლისს ბონში მეექვსედ დაიწყება ღამის მუსიკალური ფესტივალი. ამჯერად, რეალურთან ერთად, ეს ვირტუალური სანახაობაც იქნება. ვირტუალური მონაწილეების განკარგულებაში იქნება ოთხი სამმეტრიანი შენობა, საიდანაც ყველაფერი, საკონცერტო გამოსვლებიდან დაწყებული საგამოფენო დარბაზებამდე, "ეთერში" გადაიცემა. ვირტუალური მაყურებელი იხილავს მონღოლური ჯგუფის, "ეგშიგენის", მამანი კეიტის (მალელი მუსიკოსი), ფრანგი ელექტრონული ჯაზმენის, მარკ მინელისა და ბრაზილიელი ჟილბერტო ჟილემის გამოსვლას.

### ადამიანური პირობები

რიჩარდ ეშკროფტმა როგორც იქნა, დაასათაურა ახალი ალბომი. "ადამიანური პირობები" (Human Conditions) – ასეთი იქნება ბრიტანელი მუსიკოსის, რიგით მეორე სოლო-ალბომის სახელწოდება. როგორც ჩანს, ბრიტ-პოპური ჯგუფის, Verve-ის ყოფილ ლიდერს სამუშაოდ მართლა ადამიანური პირობები ჰქონდა – მან ხომ ერთის ნაცლად ორი ალბომი ჩაწერა. ჩანაწერის გამოსვლის ზუსტი თარიღი ჯერ-ჯერობით, უცნობია. გადაწყვეტილია, რომ მუსიკალური მაღაზიების თაროებზე ჩანაწერი შემოდგომიდან გამოჩნდება. რამდენიმე სიმღერა ალბომებიდან ეშკროფტმა ფანებს კონცერტებზე მოასმენინა.

### ნარკოდილერი მუსიკოსი

შოუ-ბიზნესი და ნაკოტიკები ეტყობა, მართლაც რომ განუყოფელია. ეს კიდევ ერთხელ ოდესღაც სუპერპოპულარული East 17-ის წევრმა, ბრაიან ჰარვიმაც დაამტკიცა. მუსიკოსი სასამართლოს წინაშე ნარკოტიკების შენახვისა და გავრცელების ბრალდებით წარსდგა. სასამართლო საქმე ესექსშია აღძრული, სადაც ჰარვი ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა. სამი კვირის წინ დაკავებული მუსიკოსი მოსამართლემ თავდებით გაათავისუფლა.

### "ოაზისი" ისევ პოპულარულია

ყველა ბილეთი ბრიტანული ჯგუფის ორდღიან კონცერტებზე 45 წუთში გაიყიდა. ძმები გალაჰერები ოქტომბრის შემდეგ პირველად გამოვლენ შოტლანდიის დახურულ დარბაზში. გალაჰერებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ფანებს მხარდაჭერისთვის და სამაგიეროდ, დამატებით კონცერტებს დაპირდნენ. შეპირებული კონცერტები აბერდინში 9-10 სექტმბერს გაიმართება.

ამბები

## კლუბები უეფა-სა და ფიფა-ს წინააღმდეგ

უეფა-მ და ფიფა-მ გადაწყვიტეს, 2003 წლიდან შეიცვალოს ჩემპიონთა ლიგის ფორმატი. ლიგაში კვლავ 32 გუნდი დარჩება. გაუქმდება მეორე ეტაპი და 16 საუკეთესო გუნდი პლეი-ოფის სერიაში განაგრძობს ასპარეზობას. ამან ევროპის წამყვანი კლუბების გულისწყრომა გამოიწვია. ფიფა-სა და უეფა-ს გადაწყვეტილება არასწორად მიაჩნია კონტინენტის 14 უძლიერეს და უმდიდრეს კლუბს. "რეალმა", "ბაიერნმა", "მანჩესტერ-იუნაიტედმა" და კიდევ თერთმეტმა კლუბმა საკუთარი ვარიანტები გამოაქვეყნა. "დიდი 14"-ის ("G-14") წევრი გუნდების მფლობელები თვლიან, რომ უნდა შეიკვეცოს არა ჩემპიონთა ლიგის თამაშების, არამედ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების რაოდენობა. აგვისტოს ბოლოს "G-14"-ის გენერალური ასამბლეა გაიმართება. კლუბები ოფიციალურად მიმართავენ უეფა-ს და ფიფა-ს.

## ზელანდია გამარჯვებით იწყებს

გუშინ ახალზელანდიელმა მორაგბეებმა ბოლო დროს დამკვიდრებული მათთვის უსიამოვნო ტრადიცია დაარღვიეს - 2000 წლის 15 ივლისის შემდეგ ავსტრალიელები პირველად დაამარცხეს.

მასპინძელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ენდრიუ მერტენსი, რომელმაც საკუთარ ანგარიშზე მიითვალა ზელანდიელთა ყველა ქულა. 12 ქულის მოპოვების შესაძლებლობა მეტიუ ბურკსაც ჰქონდა, მაგრამ, ზელანდიელისგან განსხვავებით, ავსტრალიელი უარესად ურტყამდა - ოთხიდან მხოლოდ ორი გაიტანა და ექვსი ქულა მოიპოვა.

## მერლინ ოტი სლოვენიის სახელით გამოვა

იამაიკელი მორბენალი მერლინ ოტი 2002 წლიდან სლოვენიის სახელით გამოვა. ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ რამდენიმე ფაქტორის გამო მიიღო. მერლინ ოტი 1998 წლიდან სლოვენიაში ცხოვრობს. ამ ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციამ არაერთხელ შესთავაზა ოტის, სლოვენიის სახელით გამოსულიყო. საერთაშორისო ფედერაციის კანონებით, სპორტსმენს, მოქალაქეობის გამოცვლის შემთხვევაშიც კი, არა აქვს უფლება, თავისი ახალი ქვეყნის სახელით გამოვიდეს, მაგრამ ფედერაციამ გაითვალისწინა იამაიკელის უდიდესი დამსახურება მძლეოსნობის განვითარების საქმეში. ოტიმ, რომელიც ახლა 40 წლისაა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე 14 მედალი მოიპოვა, ოლიმპიურ თამაშებზე – 7. მოკლედ, იამაიკელი სლოვენიის სახელით იასპარეზებს. მისი პირველი სტარტი წლეულს გერმანიაში, ევროპის ჩემპიონატზე შედგება. სპეციალისტთა აზრით, ასაკის მიუხედავად, ოტის სპრინტში ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსი აქვს. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იამაიკელმა მორბენალმა ესტაფეტაში, სადაც ბოლო ეტაპზე გარბოდა, ვერცხლის მედალი მოიპოვა.

## ავსტრალიელები დოპინგის წინააღმდეგ

თანამედროვე ჩოგბურთის უკანასკნელი დოპინგ-სკანდალი საფრანგეთის ღია პირველობაზე მოხდა. შემოწმების შედეგად სისხლში აკრძალული პრეპარატები ორ ჩოგბურთელს აღმოაჩნდა. ახალი სკანდალის დასაწყისად კი ავსტრალიელთა განცხადებები იქცა. ავსტრალიის სპორტში დოპინგის შესწავლის კომისიის თავმჯდომარემ ჯონ მენდოსამ ოფიციალურად განაცხადა: "ჩოგბურთში ფართოდ გამოიყენება აკრძალული პრეპარატები, რომლებიც სპორტსმენის ამტანობას და შრომისუნარიანობას ზრდის". მენდოსამ ისიც დაამატა, რომ ყოველივე ეს კარგად მოეხსენება საერთაშორისო ფედერაციას, რომელიც არავითარ ზომებს არ იღებს. საინტერესოა, რომ ამას აცხადებს ის ადამიანი, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა დოპინგ-კონტროლი. მაშინ ყველაზე მეტი ჩოგბურთელი ამხილეს. მენდოსამ განაცხადა, რომ დოპინგის მიღება საერთოდ არ კონტროლდება. ბოლოს კი ავსტრალიელმა ოფიციალურად მოითხოვა ჩოგბურთში სადოპინგო შემოწმების გამკაცრება.



Tour de France

# ლანჩი შლაპითა და ტყემლით

ლუჩანო ტაიოლი

ფორჟ-ლეზ-ო - ალანსონი
სპეციალურად „24 საათისთვის"



იგორ გონზალეს გალდეანო და ერიკ ზაბელი REUTERS

ახლა ტური პარიზს ჩრდილოეთიდან უვლის და დასავლეთით ატლანტის ოკეანისკენ მიემართება. კიდევ რამდენიმე ეტაპი და პირენეებში ვიქნებით. აი, აქ კი დაიწყება მხიარულება. პირველივე მთიანი ეტაპი პო - ლა მონჟე შესამჩნევ ცვლილებებს შეიტანს საერთო ჩათვლაში, ყოველ შემთხვევაში, სულ დაბალ ნიშნულზე დაიყვანს ვაკე-ეტაპების რეციდივებს.

მართალი გითხრათ, უკვე ყელში ამომივიდა ეს გაუთავებელი ერთფეროვნება. უსასრულობაში ჩაკარგული რუხი ასფალტი და მონოტონური სვლა 180-კაციანი ჯგუფისა, რომელსაც დროდადრო თუ შეაფუცხუნებს ვინმე, მაგალითად, ჯეკი დურანდისნაირი ავანტიურისტი.

ფორჟ-ლეზ-ო, საიდანაც სტარტი ავიღეთ, პარიზიდან საათის სავალზეა. ბრეის მხარის ეს ძველი ქალაქი, ამასთან, თანამედროვე ქალაქის ყველა ნიშნის მატარებელიც არის. სამწუხაროდ, ტურს აქ ერთადერთხელ, 1997 წელს გაუვლია. ამ "ნაკლს" ფორჟ-ლეზ-ო სხვა შეჯიბრებებით ინაზღაურებს – ყოველწლიურად მასპინძლობს ნორმანდიის ტურს.

თუ არ შეგიმჩნევიათ, მე გეტყვით, რომ ყოველი ეტაპის სტარტზე პელოტონის წინა რიგში დგანან ყვითელ, მწვანე, თეთრ და თეთრ-წითელ მაისურებში გამოწყობილი სპორტსმენები. ისინი სხვადასხვა ნომინაციის ლიდერები არიან. ეს თეატრალური სვლა კარგა ხანს გრძელდება. ზოგჯერ იქამდე, სანამ პელოტონი ხალხით დახუნძლული ქალაქის ქუჩებს არ გასცდება. უკვე მესამე დღეა, წინა რიგში ყვითელი მაისურით ყელყელაობს ესპანელი იგორ გონზალეს გალდეანო. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა ბოლო შვიდი წლის მანძილზე, როცა ლიდერის მაისურა ესპანელს აცვია. ტურ დე ფრანსის უკანასკნელი ესპანელი ლიდერი მიგელ ინდურაინი იყო.

წინა ეტაპზე განხორციელებული ხუთკაციანი შეტევის წარმატებამ ახალი ჯგუფი შეაგულიანა. ჯეკი დურანდზე აღარაფერს ვიტყვი. ცხადია, რომ ის მათ შორის იყო. როგორც ჩანს, 35 წლის ფრანგ ველომრბოლს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, სწორედ ელისეს მინდვრებზე შეათამაშოს ხელში ყველაზე აქტიური მრბოლისთვის განკუთვნილი პრიზი. წინასწარ ვიტყვი, რომ ექვსკაციანმა ჯგუფმა პელოტონისგან დამოუკიდებელი რბოლისთვის განკუთვნილი ქულათა გარკვეული რაოდენობა კი მოაგროვა, მაგრამ ეტაპის მოგებისთვის დავაში მხოლოდ პროფესიონალმა სპრინტერებმა მიიღეს მონაწილეობა, რადგან გაქცეულთა ჯგუფი ფინიშამდე თხუთმეტიოდე კილომეტრით ადრე ძირითად ჯგუფში უკვალოდ გაითქვიფა.

მეექვსე ეტაპის ბოლო პუნქტი ალანსონი იყო. ძველი არქიტექტურით განთქმულ ამ ქალაქს თავისუფალი ადამიანების ქალაქს უწოდებენ. ეს, როგორც ჩანს, გამორჩეული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის, ურთიერთობების გამო თუა. ალანსონს ტური სამჯერ ეწვია. 1995 წელს აქ ინდივიდუალურ-გუნდური რბოლა გაიმართა, 1991 წელს კი ფინიშთან პირველი ინდურაინი იყო.

სპრინტერული ფინიშები არსად და არასდროს ყოფილა მშვიდი. აქ, ალანსონში შეკრებილი უამრავი მაყურებელი კი განსაკუთრებით ცხარე ბრძოლას ელოდა. ამგვარი მოლოდინი საუკეთესო სპრინტერის სახელისთვის უაღრესად დაძაბულმა ვითარებამ განაპირობა. ერიკ ზაბელს 113 ქულა ჰქონდა, რობი მაკ`ივენს – 111, ბადენ კუკს – 80, კირსიპუუს – 78, ფრეირეს – 71 და ა.შ. ამ ტიტულის ექვსგზის მფლობელ ვეტერან გერმანელს სულ უფრო და უფრო ავიწროებენ ახალგაზრდა მრბოლები. მეექვსე ეტაპის ფინიშის წაგებით ზაბელი, მწვანე მაისურასთან ერთად, შესაძლოა, საუკეთესო სპრინტერის სახელის მეშვიდედ მოპოვების შანსებსაც ერთობ სათუოს ხდიდა. ფანტასტიკური სანახავი იყო ბოლო 50 მეტრი. შუაში ზაბელი, მარჯვნიდან და მარცხნიდან კი მისი ყველაზე საშიში კონკურენტები – ავსტრალიელი რობი მაკ`ივენი და ესპანელი ოსკარ ფრეირე. არადამიანური ძალისხმევის შედეგად, ბებერმა ხარმა მაინც თავისი გაიტანა. გამარჯვებულებმა, ბონიფიკაციასთან ერთად (გამარჯვებულს 12 წამი აკლდება საერთო დროიდან, მეორე ადგილზე გასულს – 8, მესამეს – 4), სასპრინტერო ქულებიც მოიპოვეს და ახლა ზაბელმა, მართალია, საბოლოოდ ვერ მოიშორა მდევრები, მაგრამ უხიფათობის რაღაც ზონა მაინც შექმნა.

საამო საცქერია დიდოსტატთა სპრინტი, მაგრამ რამდენიმე წამის აღმაფრენა ვერ აქარწყლებს ვაკე-ეტაპების წიაღში შექმნილ ზემოხსენებულ რეციდივებს.

უცნაურობები კი მართლა თან ახლავს ამ, ცოტა არ იყოს, მოსაწყენ ეტაპებს. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, მე ახლა ჩამოგითვლით სიაში გაფანტულ ათიოდე სპორტსმენს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, პირველ ათეულში დაიმკვიდრებენ ადგილს. სალიდერო პოზიციებზე უკვე მოკალათდნენ არმსტრონგი, ბელოკი, გალდიანო და ჰერასი. ძნელად, თუ მათ იქიდან ვინმე დაძრავს. მეცხრე ეტაპის ინდივიდუალური რბოლისა და პირველივე მთის ეტაპების შემდეგ ამათ უეჭველად შეუერთდებიან ფრანსისკო მანსებო (ახლა 28-ეა), სანტიაგო ბოტერო (33), ლევი ლეიპჰეიმერი (41), დენის მენშოვი (44), ოსკარ სევილა (54), სავარაუდოდ, ბობი ჯულიჩი (63), ლორან დიუფო (66) და რიშარ ვირანკი (38). თუ ასე არ მოხდა, მზად ვარ, შევჭამო საკუთარი შლაპა, ოღონდ, იმ საწებელთან ერთად, ამ გაზაფხულზე სხვა, მართლაცდა, უნიკალურ ქართულ კერძებთან ერთად რომ გამასინჯა თქვენი გაზეთის რედაქტორმა.

**ტექნიკური შედეგები**

**VI ეტაპი.**
**1.** ფორჟ-ლეზ-ო – ალანსონი. 199,5 კმ.
2. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერ.) – 4 სთ. 27 წთ. 15 წმ.
3. ოსკარ ფრეირე ("მაპეი", ესპ.) – 4 სთ. 27 წთ. 15 წმ.
4. რობი მაკ`ივენი ("ლოტო", ავსტ.) – 4 სთ. 27 წთ. 15 წმ.

**საერთო ჩათვლა**
1. იგორ გონზალეს გალდეანო ("ონსე", ესპ.) – 23 სთ. 35 წთ. 07 წმ.
2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპ.) - + 4 წმ.
3. ლანს არმსტრონგი ("US პოსტალი", აშშ) - + 7 წმ.

**მთის მეფე**
1. ქრისტოფ მენგინი (FDJ, საფ.) – 29 ქულა
2. შტეფან ბერგესი (AG2r, საფ.) – 26
3. ლუდო დირქსენსი ("ლამპრე", საფ.) – 15

**გუნდური**
1. ონსე – 71 სთ. 18 წთ. 17 წმ.
2. US პოსტალი - + 42 წმ.
3. CSC ტისკალი - + 1 წთ. 36 წმ.

**საუკეთესო სპრინტერი**
1. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერ) – 153 ქულა
2. რობი მაკ`ივენი ("ლოტო", ავსტრალია) – 141
3. ოსკარ ფრეირე ("მაპეი", ესპ.) – 106

NBA

# აივერსონს 54-წლიანი პატიმრობა ემუქრება

ამიერიდან ალენ აივერსონს ქუჩაში გასვლა ეკრძალება. გასული ხუთშაბათის შემდეგ NBA-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი შინაპატიმრობაში იმყოფება. "თუ ჩვენ მას ქუჩაში დავინახავთ, მაშინვე დავაპატიმრებთ," – განაცხადა ფილადელფიის პოლიციის შეფმა.

### ბრალდება 11 პუნქტში

ქალაქ ფილადელფიის საოლქო სასამართლოს წარმომადგენლები აპირებენ, კალათბურთის ვარსკვლავს 11-პუნქტიანი ბრალდება წაუყენონ, მათ შორის: ბინაში უკანონოდ შეჭრა, სხეულის დაზიანება და ცეცხლსასროლი იარაღით მუქარა. თუ აივერსონს ყველა ეს ბრალდება დაუმტკიცდა, მაშინ მას 54 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

პოლიციის ცნობით, ივლისის დასაწყისში ალენ აივერსონი, საკუთარ ბიძასთან ერთად, თავის ცოლს, ტავანას ეძებდა. ამის გამო ისინი აივერსონის ახლო ნათესავის ბინაში შეიჭრნენ იმ იმედით, რომ ტავანა იქ დახვდებოდათ.

### ცოლის ძიებაში

აგვისტოდან მოყოლებული, როდესაც აივერსონი და ტავანა დაქორწინდნენ, ეს უკვე მესამე ფაქტია, როდესაც კალათბურთელი მეუღლეს სახლიდან აგდებს. სიახლე ის არის, რომ ამჯერად ტავანა სრულიად შიშველი იყო, როდესაც ის ქმარმა ქუჩაში გააგდო.

ინციდენტის შემდეგ აივერსონი და მისი ბიძა ტავანას საძებნელად გაეშურნენ. იმ იმედით, რომ ტავანა იქ დახვდებოდათ, მაძიებლები აივერსონის ახლო ნათესავის ბინაში შეიჭრნენ. როდესაც სტუმრებმა ქალი ბინაში ვერ აღმოაჩინეს, აივერსონი ერთ-ერთ მასპინძელს ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. ამის შემდეგ მან ბიძასთან ერთად ბინა დატოვა და ცოლის საძებნელად სხვა მიმართულებით წავიდა.

ინციდენტიდან 10 საათის შემდეგ ქალაქის პოლიციის განყოფილებაში სატელეფონო ზარი გაისმა. ეს იყო ჩარლზ ჯონსი, აივერსონის ნათესავის მეგობარი.

### აივერსონი ყველაფერს უარყოფს

პოლიციამ აივერსონის სახლი გაჩხრიკა. თავად კალათბურთელი ყოველგვარ კომენტარზე უარს აცხადებს და დანაშაულს არ აღიარებს. მომხდარის შემდეგ წყვილი ისევ შერიგდა და ტავანა კვლავ აივერსონის სახლში ცხოვრობს. ისევე, როგორც მისი მეუღლე, ტავანაც დუმს და ყველაფერს უარყოფს.

ფილადელფიის პოლიცია მომავალ სამშაბათს კალათბურთელს თავისთან ელის, რათა მისგან ჩვენება მიიღოს. ამ დროისთვის შვებულებიდან ჩამოვა მისი ადვოკატიც და შეეცდება, თავისი კლიენტი მორიგი უსიამოვნებიდან დაიხსნას.

ქალაქის საოლქო სასამართლოს წარმომადგენელმა ლინე აბრაჰამმა განაცხადა, რომ ბრალდებული "ვერავითარ შეღავათს ვერ მიიღებს". "ეს ჩემთვის ჩვეულებრივი შემთხვევაა. მას ისევე მოვექცევით, როგორც ყველა სხვა დამნაშავეს. პრივილეგიების იმედი ნურავის ექნება," – თქვა აბრაჰამმა.



ალენ აივერსონი REUTERS

### აივერსონს თანადგომას უცხადებენ

აივერსონის კლუბი "ფილადელფია 76" და სპორტული ფირმა Reebok-ი, რომელსაც აივერსონთან სამუდამო კონტრაქტი აქვს დადებული, 2001 წლის სეზონის საუკეთესო მოთამაშეს თავიანთ მხარდაჭერას უცხადებენ.

"ფილადელფია 76"-ის მენეჯერი ბილი კინგი აცხადებს: "არ მაინტერესებს, რა განაჩენს გამოიტანს პოლიცია, ჩვენ ალენს მხარს ვუჭერთ."

აივერსონს დაურეკა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმაც, რომელთანაც კალათბურთელს საკმაოდ ბევრი უსიამოვნება ჰქონდა წარსულში. "იმედი მაქვს, რომ ეს ამბავი მალე დამთავრდება და ალენი ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდება. ის ჩვენი ოჯახის შემადგენელი ნაწილია და ყოველთვის ასე იქნება," – განაცხადა ბრაუნმა.

### 4 თვე ციხეში

1993 წელს ბოულინგ-კლუბში ატეხილი ჩხუბის გამო აივერსონი 4 თვით დააპატიმრეს.

1997 წელს იარაღის უკანონო ტარების გამო კალათბურთელს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ თავდებით გაათავისუფლეს. გარდა ამისა, აივერსონი იძულებული იყო, 100 საათის მანძილზე სოციალური სამუშაო შეესრულებინა და 24 თვის განმავლობაში რეგულარულად გაევლო ტესტი ნარკოტიკებზე.

FORMULA-1

# ეკელსტონი რევოლუციას ამზადებს

იმ დროს, როდესაც ფორმულა 1-ის გუნდები ღრმა ფინანსურ კრიზისს განიცდიან, ფედერაციის შეფი ბერნი ეკელსტონი მომავალი სეზონისთვის ახალ გეგმებს აწყობს. საუბარია თითოეული გუნდისთვის მანქანების რაოდენობის ორიდან სამამდე გაზრდის შესახებ.

"გვინდა, მანქანების რაოდენობა გავზარდოთ - სამი მანქანა სამი პილოტით. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ცვლილება შემდეგი სეზონიდან შევიდეს ძალაში," – განაცხადა ფორმულა 1-ის ბოსმა.

ის, რაც ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, ეკელსტონისთვის უკვე კარგა ხნის მომწიფებული თემაა.

ექსპერტთა აზრით, ეს ცვლილება კონკურენციას მოსპობს, რადგან ძლიერ გუნდებს სამი პილოტით წარმატების მიღწევის მეტი შანსი ექნებათ. ბერნი ეკელსტონს კი მიაჩნია, რომ სიახლე სწორედ კონკურენციას გაზრდის.

მაგრამ პირველი, რასაც ეკელსტონის ახალი პროექტი ემსახურება, მანქანათა რიცხვის შენარჩუნებაა. მას შემდეგ, რაც უკანასკნელ სეზონში "Prost"-ი გაკოტრდა, "Arrows"-ის სახით კიდევ ერთი გუნდი დგას ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე. ასევე უამრავი ვალი აქვს "Minardi"-ს. "საუბედუროდ, ორი მანქანა უკვე დავკარგეთ. თუ "Arrows"-ს დავკარგავთ, 20 მანქანა დაგვრჩება. თუ "Minardi"-ც გაკოტრდა, მაშინ მანქანათა რიცხვი 18-მდე შემცირდება. ამის უფლებას ჩვენ თავს ვერ მივცემთ," – ამბობს ეკელსტონი.

თუ ეკელსტონს თავისი პროექტის განხორციელება სურს, მან ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს, რაც, ერთი შეხედვით, ადვილი არ იქნება. გუნდებს ხარჯები ემატებათ მესამე მანქანისა და ახალი პილოტის სახით, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებს საჭიროებს.



# ქართველიშვილები

ბიძინა მაყაშვილი



დასასრული. დასაწყისი იხილეთ N 41

## კატა

მე ქართველიშვილების კატა ვარ. სახელად ცუგა მქვია. სანამ მაგათ გავიცნობდი, ქუჩაში ვცხოვრობდი. ერთხელ სადარბაზოში ტარაკნებს ძეხვის თხელი ნაჭერი წავართვი. ნახევარი შეჭმული მქონდა, რომ 11 წლის გიორგი ქართველიშვილი დამესხა თავს; ძეხვი პირიდან გამაგდებინა და სახლში გაიქცა. მე გამოვეკიდე და ჩუმად შევიპარე ბინაში. ოჯახის ოთხივე წევრი მაგიდას უჯდა, მაკარონს ჭამდა და წყალს აყოლებდა. ბიჭმა ძეხვის ნაგლეჯი გამოაძვრინა მუჭიდან და ის იყო, უნდა შეეჭამა, რომ მამამისმა გამოგლიჯა ხელიდან და თვითონ გადასანსლა. ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა ჩემზე: ასეთ რამეს ძაღლიც კი არ გაუკეთებდა თავის ლეკვს. ამის შემდეგ გადავწყვიტე, მიმეხედა ამ ოჯახისთვის. როდესაც სანაგვეში ხილს ვიპოვიდი, მათთვის მიმქონდა; ისინი კი სამაგიეროდ მაკარონს მაჭმევდნენ. ახლა ღამეებს მათთან ვათენებ. ყველაზე მეტად დედას ვუყვარვარ, ღამ-ღამობით ლოგინში მიწვენს ხოლმე... ერთხელ დედამ გადაწყვიტა, რომ გრძელი ბრჭყალებით ყველაფერს ვკაწრავდი და მამას სთხოვა, რაღაც მოეფიქრებინა. იმ იდიოტმაც მოიფიქრა: აილო თავისნაირი ბლაგვი ქლიბი და კლანჭები მომაქლიბა. ამის გამოა, იატაკზე სიარულისას თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ყინულზე ვყოფილიყავი. ერთხელ ფანჯრის რაფაზე მსუქანი ბუზი დავინახე. ვისკუპე და დავიჭირე, მაგრამ რაფაზე ველარ დავამუხრუჭე, გავსრიალდი და მეცხრე სართულიდან გადავვარდი. ვარდნისას სარეცხის თოკებს გამოვედე, წონასწორობა დავკარგე და მიწას საშინელი ძალით დავენარცხე. ყველა ნეკნი ჩამიტყდა. არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი. თავიდან მამას ძეხვის საამქროში უნდოდა ჩემი ჩაბარება, მაგრამ ბავშვებმა არ დაანებეს. სამი თვე გიფსით დავდიოდი. ძალიან სასაცილო ვიყავი. - გიფსიდან მხოლოდ ცხვირ-პირი, კუდი და თათები მქონდა გამოჩრილი. ნამდვილი მოსიარულე ჰოთდოგი ვიყავი. თაგვებმაც ისარგებლეს ჩემი სისუსტით და სამზარეულოში ისე დასეირნობდნენ, როგორც მიკი მაუსი დისნეილენდში. გადავწყვიტე, შური მეძია. სამზარეულოში ორი სორო იყო. ბრჭყალებით დავიწყე ერთი მათგანის გაგანიერება. ერთი კვირის შემდეგ ისე გავაფართოვე, რომ თავის შეყოფა შემეძლო. იმავე ღამეს ჩავუსაფრდი და როცა თაგვებმა გამოსვლა დააპირეს, თავი სოროში შევყავი, მაგრამ გიფსის გამო ტანი აღარ შემეტია. იმ წამსვე ორი წრუწუნა მეცა ყურებში და სოროს სიღრმისკენ დამქაჩეს. ვერც შიგ შევდიოდი და ვერც გამოვდიოდი. დავრჩი ასეთ იდიოტურ პოზაში. ამ დროს მეორე სოროდან უზარმაზარი ვირთხა გამოძვრა, უკნიდან მომადგა და სასტიკად გამაუპატიურა. იმას მეორე მოჰყვა, მესამე, მეოთხე და ასე გაგრძელდა მთელი ღამე, სანამ გრძნობა არ დავკარგე. ამ ამბების შემდეგ ორი თვე გავიდა. მე გიფსი მომხსნეს, სამაგიეროდ ორსულად ვარ და ამ წერილს ვუწერ ბრიჯიტ ბარდოს. იქნებ ის მაინც დამეხმაროს ამ წყეული ქვეყნიდან გაღწევაში.

## უმაღლესი

მე ისევ გიორგი ქართველიშვილი ვარ. ჩვენი შეხვედრიდან ათი წელი გავიდა. ახლა ვსწავლობ ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო რეგიონების კვანტური ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის მესამე კურსზე. მე მომავალი ინჟინერი ვარ. ჩვენ ქვეყანაში მამაკაცების უმრავლესობა ინჟინრები არიან, ხოლო ქალების – ინგლისურის მასწავლებლები. მაგრამ, როგორც მშობლები ამბობენ, ქვეყანას უფრო მეტი ინჟინერი და პედაგოგი სჭირდება, რათა ნათელი მომავალი ავაშენოთ. მამაჩემი აღარ არის მესაფლავე – ნეკროფილიის გამო მან დაკარგა სამსახური და ახლა სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე მუშაობს. დედამაც დაკარგა სამუშაო, იმიტომ, რომ მძიმე მრეწველობის მინისტრის საყვარლის წერილი შეცდომით პარლამენტში მიიტანა. ამის გამო მძიმე მრეწველობის მინისტრი მსუბუქი კონსტრუქციების მინისტრად გადაიყვანეს; დედაჩემს კი აღარ ანდობენ წერილებს და ის მხოლოდ გაზეთებს არიგებს. ჩემი და გაიზარდა და ის უფრო მეტად მიყვარს, განსაკუთრებით, როცა ლოგინში ვართ. მაგრამ, იმის გამო, რომ დედაჩემი ასეთი რამეების წინააღმდეგია, მან ჩვენი განცალკავება გადაწყვიტა და სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში გამიშვა. ოთახში ოთხი ბიჭი ვცხოვრობთ, მაგრამ მხოლოდ სამი საწოლი გვაქვს. ასე რომ, ყოველღამე ვინმესთან ერთად მიხდება ძილი. მე ყველაზე მეტად დათოსთან მირჩევნია, იმიტომ, რომ ალექსი საშინლად ყარს, გია კი ისე იქცევა ლოგინში, თითქოს ქალი ვიყო. ერთმანეთთან ძალიან მეგობრულად ვართ – ამას წინათ ფული შევაგროვეთ და ოთახისთვის კბილის ჯაგრისი ვიყიდეთ. ჰეპატიტიც კი ოთხივეს ერთდროულად დაგვემართა. ოთახის კედლები "აგანიოკიდან" ამოჭრილი სურათებით გვაქვს გაფორმებული: როდენის "კოცნა", მერლინ მონროს ფოტო ფილმიდან "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია", დეგას "ბალერინები" და გერმანული "დედერონის" ჩულქების რეკლამა. ჯგუფში 35 ბიჭი და ერთი გოგოა. აქედან 22 ბიჭს ის გოგო უყვარს და 23 ერთად დადის კინოში; მათ უკვე 14-ჯერ ნახეს "არაჩვეულებრივი შვიდეული". როგორც ფოსტალიონის შვილი, დამნიშნეს ფაკულტეტის კედლის გაზეთის რედაქტორად. ასევე ჩამოვაყალიბეთ როკ-ჯგუფი, რომელშიც თავიდან შვიდი ბიჭი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამი წევრი ელექტროგიტარებიდან დენის დარტყმის გამო დაიუპა, ოთხნი დავრჩით. დეკანის გადაწყვეტილებით ახლა მხოლოდ აკუსტიკურ გიტარებზე ვუკრავთ და მხოლოდ საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერებს ვასრულებთ. ჩემი საყვარელი მუსიკოსია ფრენკ სინატრა და ალა ბორისოვნა პუგაჩოვა. ჩემი საყვარელი საჭმელი ისევ მოხარშული მაკარონია, რომელიც სტუდენტური სასადილოს წამყვანი კერძია. მე ყველა საგანში ფრიადი მაქვს პარტისტორიის გარდა, იმიტომ, რომ სტალინი ლენინის შვილი მეგონა. როცა ფრიადოსანი გავხდები, მამა ოდეკალონ "საშას" მაჩუქებს; ეს მისი საყვარელი სასმელია. მაგრამ, ეს არ არის ჩემი მთავარი მიზანი – მე ველოდები სემესტრის დასასრულს, როცა ცნობილი გახდება ლატარეის შედეგები. გამარჯვებული ერთ წელიწადს გაატარებს ატლანტის უნივერსიტეტში.











ლევან კიკალიშვილის, ილო ჭრელაშვილის, გია გელაშვილისა და ანასტასია ლოზვინენკოს ნახატები

## ატლანტა

მესამე კურსის ბოლოს სტუდენტურ ლატარეაში გავიმარჯვე და საშუალება მომეცა, სწავლა ერთი წლით სხვა ჯორჯიაში გამეგრძელებინა. მამაჩემი დაითხოვეს სამედიცინო ინსტიტუტის პათანატომიის კათედრიდან, რადგან დროდადრო სახლში ერთი გვამი მიჰქონდა და ღამეს დედაჩემის მაგივრად მასთან ატარებდა. ის ამჯერად გვამების გაცვლის კომისიის თავმჯდომარეა. დედაჩემმა გადაწყვიტა, რომ ზომბია და ახლა ფსიქიატრიულ კლინიკაში იმყოფება სამკურნალოდ. ჩემმა დამ ვიღაცისგან გააჩინა ბავშვი, რომელიც მე მგავს. მე კი უკვე ამერიკაში ვარ. ამერიკაში ჩემი ყოფნის მთავარი მიზანი სწავლასთან ერთად იყო ის, რომ დამეცვა შავკანიან ამერიკელთა უფლებები. მაგრამ აქ ჩამოსვლის მომენტიდან დღემდე ვცდილობ საკუთარი ჯიბეების დაცვას შავკანიანი ამერიკელებისაგან. ამერიკაში ბევრი საინტერესო რამ აღმოვაჩინე. მაგალითად, პრეზერვატივის ნაცვლად, აქ ყველა ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს იყენებს და მეც მათზე გადავედი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე უამრავი გაზეთი გამოდის, ისინი ტუალეტებში სპეციალურ ქაღალდს ხმარობენ. მამაჩემმა წამოსვლის წინ მაჩუქა თავისი ძველი კოსტიუმი და ყელსაბამი ქართლის დედის გამოსახულებით, მაგრამ ისინი აქ ვერ გამოვიყენე, რადგან უმუშევრების ჩათვლით ყველას ჯინსი და "მაიკა" აცვია. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საერთაშორისო კამპუსში ვცხოვრობ. ოთახში კი ჩემთან ერთად ესტონელი, თურქმენი და რუსი ცხოვრობენ. მე ყველა მათგანთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ერთმანეთს მაინცდამაინც კარგად ვერ ეწყობიან. ესტონელი რუსს "ფაშისტს" და "ოკუპანტს" ეძახის; რუსი თავს ჩვენი ოთახის უფროსად მიიჩნევს და ამბობს, რომ უნდა გავერთიანდეთ ბურჟუაზიული გარემოსგან თავდასაცავად; თურქმენს ყველაფრის ეშინია და ყოველთვის რუსს უჭერს მხარს. მე ასეთი რამეები არ მაღელვებს, მაგრამ სანამ კოკა-კოლას პირველად დავლევდი, მეც ბევრი ვინერვიულე. ახლა მივეჩვიე და სულ არ მეშინია – ლაღიძის წყლებს არაფრით ჩამოუვარდება. არც რეკლამებია ისეთი საშიში, როგორც მამაჩემი მაფრთხილებდა. თავიდან ვცდილობდი, მათთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ეს შეუძლებელია. ახლა ყველა რეკლამას სიამოვნებით ვუყურებ, გარდა მაკარონისა. ერთხელ ჩვენ კამპუსში მართლაც საშინელი ამბავი მოხდა: ერთი ჩინელი ბიჭი გაქრა. თავიდან ეჭვი სარეცხის მაფიასა და აღმოსავლურ მისტიციზმზე ავიღეთ, მაგრამ სამი დღის შემდეგ სენეგალელი სტუდენტი გამოტყდა: თურმე საწყალს ჰოთდოგების ჭამა მობეზრებია და საცოდავი ჩინელით უსადილია. ჩვენ გვეგონა, რომ დაიჭერდნენ, მაგრამ როგორც უკანასკნელი კანიბალი, გინესის წიგნში შეიყვანეს, ხოლო მისი კბილების ფოტოთი ახალ კბილის ჯაგრისებს უკეთებენ რეკლამას. მალე მეც გავითქვი სახელი. ერთხელ ქუჩაში მივსეირნობდი და დემონსტრატებმა გამოიარეს. უცებ ერთმა ამერიკელმა ბიჭმა მთხოვა – სანამ ფეხსაცმელს შევიკრავ, ეს პლაკატი დამიჭირეო. სწორედ ამ დროს ორი პოლიციელი მეტაკა და ერთი ღამე პოლიციაში გავატარე. მეორე დღეს კი ჩემი ფოტო "ნიუსვიკის" ყდაზე მოხვდა წარწერით – "პოლიცია არბევს ვიეტნამის ომის მონაწილეებს". მეორე დილას უნივერსიტეტში გმირივით მიმიღეს. ამის შემდეგ, ყოველ საღამოს სტუდენტებით გარშემორტყმული, აკუსტიკური გიტარის თანხლებით ვმღერი დილანის, ლენონის და "დორსის" სიმღერებს. ახლა თავს უკვე ნამდვილ ამერიკელად ვგრძნობ.

## კოლეჯი

მე ისევ ნინო ქართველიშვილი ვარ, მაგრამ ის ნინო აღარ ვარ. მას შემდეგ, რაც მე და ჩემ ძმას შვილი შეგვეძინა, ორიოდე წელი გავიდა. მამა დააწინაურეს და ახლა გაეროს დონეზე აწარმოებს გვამების გაცვლას. დედა ისევ ფსიქიატრიულ კლინიკაშია. ის თავს უკეთ გრძნობს და იქაური კედლის გაზეთის, "ზომბი ვოისის" რედაქტორია. ჩემი ძმა "ვაი ნოუ ნეტის" სეილს მენეჯერია. ჩვენი ბავშვი მასთან ცხოვრობს, იმიტომ, რომ მე ვიმყოფები არეტა ფრანკლინის სახელობის ქართულ-ამერიკულ ლესბიანელ ქალთა კოლეჯის პანსიონატში. კოლეჯის მიზანია ახალგაზრდა დედა ტერეზების მომზადება და მათი გაგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში. ჩემი მიზანია საზღვარგარეთ გაღწევა და იქ ბეიბისიტერად მოწყობა. კოლეჯში კარგი პირობები გვაქვს, ერთადერთი მაკარონი მენატრება. ბევრ საინტერესო საგანს გვასწავლიან. მაგალითად, უკვე ვიცი ჰამბურგერის დამზადება უპატრონო ძაღლებისა და კატებისგან; შემიძლია დიდი შვიდეულის ქვეყნების ენებზე ვუთარგმნო მათხოვრებს ტრაფარეტული ფრაზები; ასპირინის ვადაგასული აბებით და ასანთის ღერების თავებით ვამზადებ კოკა კოლას; შემიძლია ნებისმიერ თემაზე დავწერო გრანტის მისაღები პროგრამა; ვასრულებ "იავნანას" 179 ენაზე; მაქვს უნარი, სქესობრივ კავშირზე დავითანხმო ნებისმიერი რანგის ტერორისტი; პატარა ბავშვებს ვასწავლი არითმეტიკას მათივე ტუბერკულოზის ჩხირებით. მოკლედ, ბევრ სასარგებლო რამეს გვასწავლიან ეს ამერიკელები. ჩვენი კოლეჯი ერთადერთია ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ამიტომ აქ ყველა რესპუბლიკებიდან ჩამოდიან მომავლი ტერეზები. ერთხელ უსიამოვნო ამბავიც მოხდა : ზაფხულის ცხელ ღამეს პატარა იაკუტი გოგო დაიკარგა. ორიოდე დღეში კი მისი გვამი სავენტილაციო მილში იპოვეს. საწყალს მშობლიური ყინვა მოენატრა, კონდიციონერი მაქსიმალურ სიმძლავრეზე ჩართო და იმან კიდევ შეისრუტა. ერთხელ მეც შემემთხვა ინციდენტი. ჩვენი სასწავლებელი მეგობრობს ელვის პრესლის სახელობის ბისექსუალისტ ვაჟთა საეთაშორისო კოლეჯთან. მათთან ერთად დავდგით ფოლკროკ ოპერა "პორგი და ეთერი". პრემიერაზე ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა: ნათესავები, მეგობრები, მეზობლები და ამერიკის ელჩის ცოლის ბებია თავის მეორე ქმართან ერთად, რომელიც 1945 წელს ბერლინში დაუმეგობრდა უკრაინელ ჯარისკაცს. ცეკვისას ჩემმა პარტნიორმა ბიჭმა ძალიან მაღლა ამისროლა. ამ დროს დარბაზში მყოფმა დედადამისმა აღტაცება ვერ დამალა და წამოიყვირა: "დედა ენაცვალოს, რა ლონიერია!" ბიჭმა დარბაზისკენ მიიხედა, მე სულ დავავიწყდი და თავით დავასკდი სცენას. ერთი თვე ტვინის შერყევით ვიწექი. სხვა მხრივ კოლეჯში პრობლემა არ მქონია. კარგად ვსწავლობ და ყველა საგანში ხუთიანი მყავს ხატვის გარდა. დაგვავალეს, დაგვეხატა ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება. ჩემს ნახატზე ჯვარცმულ ქრისტეს გარსშემოხვეული ქალები ფეხებს უკოცნიან. სწორედ ამის გამო ხატვაში ოთხიანი გამომყვა. თუ ფრიადოსანი გავხდები, მამა ერთი კოსოვოელი ალბანელის გვამს მაჩუქებს. გვამი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მე უფრო საზღვარგარეთ გაღწევა მაინტერესებს.

## საქართველო

მე გიორგი ქართველიშვილი ვარ. უკვე 60 წლის გავხდი და ახლა გიოს მეძახიან. საქართველოს უკვე აღარ ჰქვია ჯორჯია; ის გეო გახდა, იმიტომ, რომ ზომაში ძალიან დაპატარავდა. დარჩა მხოლოდ ქართლი, კახეთი, იმერეთი და გურია. დანარჩენი მხარეებიდან ზოგი მეზობელ ქვეყნებს შეუერთდა, ზოგმა კი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თბილისიც დაპატარავდა და მას ლისი დაერქვა. ლისში შედის სოლოლაკი, ვერა, პლეხანოვი და ვორონცოვი. სხვა უბნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მხოლოდ ვაკემ ჩამოაყალიბა რაღაც გაუგებარი ავტონომიური კავშირი ვერასთან. მშობლები კარგად არიან: დედა მობილური კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეა მოკლე შეტყობინებების დარგში; მამა საერთო კავკასიური კრემატორიუმის დირექტორია. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი გავიდა, ჩემი და ისევ ჩემზე უმცროსია. ის შპს "ძიძას" პრეზიდენტია. ჩვენი ბავშვი გაიზარდა და კარგად არის. მას არაფერი არ აკლია სქესის გარდა. ამის გამო ჯერაც ვერ გადაგვიწყვეტია, რა დავარქვათ და უბრალოდ სახელს ვეძახით. ის 35 წლის არის და კომპაქტ-დისკების ქარხანაში მუშაობს ნახვრეტების წარმოების დეპარტამენტში. მეც რამდენიმე სამსახური გამოვიცვალე და ახლა ქართველ წმინდანებად წარდგენის კომისიაში ვმუშაობ. უკანასკნელ სხდომაზე ერთი ლეგიონერი წყალბურთელის გაწმინდანების საკითხი განვიხილეთ. მან თამაშის დროს მიატოვა კარები (რითაც მეტოქემ ისარგებლა და გოლი გაიტანა), რათა აუზში ჩავარდნის საშუალება არ მიეცა ლუდის ნახევრადდაცლილი ქილისთვის, რომელიც მაყურებელს გაუვარდა. საინტერესო სამუშაოა, მაგრამ მაინც საზღვარგარეთ მირჩევნია წასვლა და გამოცდები ჩავაბარე ამერიკის წმინდანების კომისიის წევრად გასახდომად. სამწუხაროდ, ყველაფერში 5 მივიღე ისტორიის გარდა, რადგან თეთრი სახლის ფერი დამავიწყდა. თუ ხუთოსანი გავხდები, მამა შემპირდა, რომ ნამდვილ კუბოს მაჩუქებს და როცა მოვკვდები, კი არ დამფერფლავს, არამედ დამასაფლავებს. ახლა ჩვენ აივანზე ვდგავარ და ფერებში ვვარჯიშობ: მაგდანას ლურჯა, თეთრიწყარო, მწვანე ტალღა, ცისფერი ტრიო, Pink Panther, შავი ჭირი, ბელაია გარიაჩკა, Red Hot Chili Pepers, წითელქუდა, პიკასოს ცისფერი პერიოდი, შავი კატა, Black Sabbath, ზანგი, ფერადი ტელევიზორი, ლურჯწვერა, შუქნიშანი, ცისარტყელა. როცა ვიღლები, ქალაქს ვათვალიერებ ხოლმე. მშვენიერია ქართლის დედა, რომლის მზეზე გარუჯული სხეულის ინტიმურ ადგილებს ოდნავ უფარავს ორნაწილიანი საბანაო კოსტიუმი. მარჯვენა ხელში ბეისბოლის ბიტი უჭირავს, მარცხენაში ნესკაფე კლასიკის ქილა. გაჩახჩახებულ ნარიყალაში ღამის კლუბი "მეფე ჩარლზია" გახსნილი; შესვლა მხოლოდ არაქართველებისთვის. მარჯანიშვილის მაკდონალდსში პეტრარკას სახელობის ციხე გაიხსნა, რუსთაველისაში კი ამერიკის საელჩო შევიდა. იმის გამო, რომ მეტროს გრძელი ხაზი აღარავის სჭირდებოდა, მეტრო ამერიკის საელჩოს ყოფილ შენობაში გადაიტანეს. მეტროს სადგურები კი გემებად გადააკეთეს. ამჟამად ქალაქის ხელისუფლება მოლაპარაკებას აწარმოებს გლდანის მთავრობასთან, რათა თბილისის ზღვა გემებთან შეიყვანონ. სხვათა შორის, გაეროს გადაწყვეტილებით, თბილისის ზღვას მალე საერთაშორისო სტატუსი მიენიჭება და ჩვენი გემები ისევ შევლენ საზღვარგარეთის პორტებში. ამიტომ შეიძლება ჩემს კომისიას დავანებო თავი, გემზე მოვეწყო და სიბერე სკანდინავიის რომელიმე თბილ ქვეყანაში გავატარო. თუმცა, ამ ვიკენდზე ალბათ მთვარეზე ავალ, თორემ ჩემი ყინულის პლანტაცია დიდი ხანია, არავის მოურწყავს.

# კაილი მინოუგის მოსმენისთვის - სამწლიანი ციხე



*კაილი მინოუგი* REUTERS

მალაიზიაში, სადაც ძალადობისა და სექსის ამსახველ ტელეპროგრამებზე მკაცრი ცენზურაა დაწესებული, პოპულარული ავსტრალიელი მომღერლის კაილი მინოუგის კონცერტის ვიდეო-ჩანაწერიც აკრძალეს. ფილმის საცენზურო საბჭომ ეს გადაწყვეტილება ვერაფრით დაასაბუთა. საბჭოს თავმჯდომარემ შაარი ნურმა მხოლოდ ის თქვა, რომ კაილი მინოუგს "ცუდი მორალის" პროპაგანდისთვის კრძალავენ. Live In Sydney-სთან ერთად, შავ სიაში კიდევ 194 სხვა ვიდეოც მოხვდა; ასევე ამერიკული ტელესერიალები, "ელი მაკბილი" და "მეგობრები". ნურის თქმით, ასაკრძალი ვიდეო-ჩანაწერები ხუთთვიანი კვლევის შემდეგ შეარჩიეს. მალაიზიაში გასართობი ინდუსტრიის ნებისმიერ პროდუქტს საზოგადოებაში გაშვებამდე სწორედ ეს საბჭო იხილავს და მის ავკარგიანობას ადგენს. მთავრობა მკაცრად აკონტროლებს სატელევიზიო და კინოს შინაარსსაც. ფილმებიდან ხშირად ჭრიან კოცნის სცენებს, ამონტაჟებენ არაკორექტულ მიმართვებსაც. თუმცა, ავსტრალიელი პოპვარსკვლავის ფანები ცენზურის არსებობას დიდად მაინც არ განიცდიან. ვიდეოინდუსტრიის მეკობრეების წყალობით, აკრძალულ ჩანაწერებს შავ ბაზარზე ჩვეულებრივად შოულობენ. ოფიციალური წესების მიხედვით კი, მინოუგის ვიდეოკასეტის ფლობის, გავრცელების ან გაყიდვისთვის მალაიზიელები 7 ათას 900 დოლარის ჯარიმით და სამწლიანი ციხით დაისჯებიან.

## TV პროგრამა 14 ივლისი

### რუსთავი - 2

- 08.00 მუსიკა
- 09.00 კურიერი
- 09.15 მულტსერიალი
- 10.45 "ოქროს ვარდის გამოძიებული"
- 11.15 სერიალი "ნიკიტა"
- 12.10 მხ.ფილმი
- 13.50 სიმფსონები
- 14.20 მხ. ფილმი
- 16.50 ჯაზი
- 18.00 კურიერი
- 18.20 მხატვ. ფილმი: „კაცია ადამიანი"
- 20.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
- 21.00 საქართველოს უახლესი ისტორია - „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა"
- 22.25 ჩვენი ეზო
- 22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი".
- 00:20 კურიერი
- 00.30 მხ.ფ. "მკვლელობა ბეიჯერ დრიფტში" მთ.როლებში: ჯონ ნეტლისი, რენე ეშერსონი
- 02:15 კლასიკა

### პირველი არხი

- 08.00, 20.00, 00.00 "მოამბე"
- 08.15 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
- 08.40 "მსოფლიოს ველური ბუნება"
- 09.25 მეალომანია
- 10.00 დილის პაემანი
- 11.05 მხიარული კარუსელი
- 11.30 ფრანგული პროგრამა "მოდი ვიცეკვოთ"
- 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები
- 12.15 ზუმი
- 12.30 მიწის პროექტი საქართველოში
- 12.50 თბილისი და თბილისელები
- 13.25 "მეტრო"
- 13.55 გლობუსი
- 14.25 საკვირაო გამოფენა
- 14.35 არათბილისური ამბები
- 15.15 მხ. ფილმი "დეიდა დანიელი"
- 16.50, 23.25 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
- 17.40 "ამბები ჩვენზე"
- 18.00 "ბავშვთა უფლებების კონვენცია"
- 18.20 "მაღალი მოდის სამყარო"
- 19.10 ფრანგული ფილმი - ბალეტი "კარმენი"
- 20.25 საქართველო არის ესე
- 20.55 ჩვენი ენა ქართული
- 21.00 "მიამბეთ თქვენზე
- 21.40 მამია ხატელიშვილი
- 00.05 მხ.ფ. "ცერემონიალი"

### მეორე არხი

- 19.00 იყო და არა იყო რა
- 19.30 მხ. ფილმი "პატარა მოცურავე"
- 21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე
- 21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
- 22.00 შვიდეული
- 23.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო"

### ევრიკა

- 11.00 ცისკრის ზარები
- 11.05 მუსიკალური კოლაჟი
- 12.00 თეატრალური შეხვედრები
- 13.25 თბილისური ოჯახები
- 14.10 მუსიკა
- 15.00, 21.00 ვესტი
- 15.30 საოცარი პირამიდა
- 17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის - ილია მეორის ქადაგება
- 17.20 საეკლესიო კალენდარი
- 17.35 საუბრები ბიბლიაზე
- 19.00 თქვენი აზრით...
- 19.20 ჩვენი თაობა
- 20.00 თავისუფალი მიკროფონი
- 20.15 მოგზაურობა ბავშვობაში
- 20.30 იქ, სადაც სიყვარულია...
- 22.00 "იდენ ტვ"
- 22.30 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
- 23.30 მსოფლიო სპორტი
- 00.30 მხ. ფილმი "არიზონის სიზმარი"

### იბერია

- 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
- 08.15, 20.15 აღსავალი
- 08.20, 09.55, 11.55, 20.20, 21.55, 23.55 მუსიკა
- 08.25 მხ.ფ. "პეპლების ენა"
- 10.05 მხ.ფ. "კარიერა"
- 20.25 მხ.ფ. "მომავალი ზაფხული"
- 22.05 მხ.ფ. "კეთილისმყოფელი"

### პირველი სტერეო

- 07.30 "მადლიანი ცნობა"
- 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
- 13.00 "პრეს-პრესი" განმეორებით
- 14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ბედის საჩუქარი"
- 16.00 "უცნობი" განმეორებით
- 17.00 ათეული
- 18.00 "სოლო" განმეორებით
- 19.00 მუსიკა
- 20.00 მო
- 22.00 ინფორმატორი
- 22.20 რეკლამის ათეული
- 23.00 "ცენტრი"
- 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ბარი - მეგობარი, რომელსაც თქვენთვის კარგი სურს". მთ. როლში ლორან ლიუკა
- 01.55 ღამურა "იდიოტები".
- 03.15 ნონ-სტოპი

### კავკასია

- 12.00 ინდ. მხ.ფილმი
- 14.30 მხ.ფ. "ადამიანი რკინის ნიღაბში"
- 16.40 მხ.ფ. "იურული პერიოდის პარკი 2"
- 18.50 მხ.ფ. "პრეზიდენტის თვითმფრინავი"
- 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
- 21.00 მხ.ფ. "ჩლუნგი და უჩლუნგესი"
- 22.30 მხ.ფ. "უკანასკნელი მოჰიკანი"
- 00.20 მხ.ფ. "ინტერვიუ ვამპირთან"

### მეცხრე არხი

- 09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
- 09.20, 12.20, 20.50, 22.00, 23.45 მუსიკა
- 09.35 მულტფილმი "აბა დამაცადე"
- 10.00, 15.00 "დილა"
- 11.20, 14.05, 18.05 დისქავერი
- 12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
- 13.20 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
- 16.20 მხ.ფილმი "სინდბადი და ვეფხვის თვალი" მთ. როლში პატრიკ ვეინი
- 19.00 მაცაცერა
- 19.10 მულტფილმი "აბა დამაცადე"
- 19.30 მსოფლიო ფეხბურთი
- 20.00 სად? რა? როდის?
- 21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
- 22.10 მხ.ფ. "იდეალური სასიძოები". მთ. როლებში კეტი ბეიკერი, რაინ სილვერი
- 00.05 მხ.ფ. "თავისუფლების მწვერვალები". მთ. როლებში ედრინ ბრუდი, ბენფოტესი

### აჭარის ტელევიზია

- 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
- 09.30 "Улово"
- 10.00 სათავგადასავლო ფილმი "ჯორჯის კუნძული"
- 11.25 "პერსონა"
- 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
- 12.15 "ყველანი ვართ პატარები"
- 12.25 კომედია "ძუნწი"
- 14.00 თრილერი "ტურბულენტობა"
- 16.15 მულტფილმი "ველური გედები"
- 17.10 კომედია "ტრაგიკული ფანტოცი"
- 19.20 სათავგადასავლო ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბით"
- 21.25 დოკუმენტური ფილმი
- 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
- 22.50 დოკუმენტური ფილმი
- 00.50 მელოდრამა "ლოლიტა"
- 03.30 მხატვრული ფილმი "იმედის გაელვება"

### VII არხი

- 18.00, 19.50,22.30,01,55 ანონსი
- 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
- 18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
- 18.30 "სახლიდან გაუსვლელად"
- 19.00 "აჩიკუდა"
- 19.45 "ლა-ლა-ლა"
- 20.20 "საყვარელი ფილმი" - "ჟანდარმი სენ ტროპედან" საფრანგეთი. 1995 წელი. კომედია. რეჟისორი - ჟან ჟიურო. როლებში: ლუი დე ფიუნესი, მიშელ გალაბრიუ
- 22.00 "ავტოტრეკინგი"
- 22.55 "სახლიდან გაუსვლელად"
- 23.25 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ეს მე არა ვარ, ის არის" საფრანგეთი. 1979 წელი. კომედია. რეჟისორი - პიერ რიშარი. როლებში: პიერ რიშარი, ვალერი მერესი.
- 00.55 "სახლიდან გაუსვლელად"
- 01.40 მუსიკალური ტაიმაუტი
- 02.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

- 07.45 х.ф. "ТЕТЯ МАРУСЯ" 2-я серия
- 09.00, 11.00, 15.00 Новости.
- 09.10 Армейский магазин
- 09.40, 14.30 Дисней-клуб
- 10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
- 11.10 "Непутевые заметки"
- 11.30 Пока все дома.
- 12.05 Док. фильм
- 12.35 х.ф. "ЛЮБОВЬ ПО ЗАКАЗУ"
- 14.15 "ЕРАЛАШ"
- 15.10 Живая природа
- 16.10 "Большие радители"
- 16.40 Сами с усами
- 17.10 х.ф. "БЕГЛЕЦ"
- 18.05 "ВЫСТРЕЛ В СПИНУ"
- 19.50 х.ф. "АБСОЛЮТНАЯ ВЛАСТЬ"
- 22.00 Времена
- 23.05 х.ф. "ГОЛЫЙ ПИСТОЛЕТ 33 1/3"
- 00.35 «На футболе» с Виктором Гусевым
- 01.25 х.ф. "БЕГИ"

### РТР

- 07.20 Фильм "ДОДУМАЛСЯ, ПОЗДРАВЛЯЮ!"
- 08.40 "Верните рекса"
- 08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
- 09.50 Русское лото
- 10.40 "ТВ-Бинго шоу"
- 11.10 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
- 11.40 Сам себе режиссер
- 12.35 "Городок"
- 13.05 х.ф. "КУРЬЕР"
- 15.00 Вести.
- 15.20 Вокруг света
- 16.10 Диалоги о животных
- 17.15 "Ха"
- 17.25 "ВСТРЕТИМСЯ НА ТАИТИ"
- 19.00 "БАДДИ"
- 21.00 Вести недели.
- 21.55 Аншлаг
- 23.00 х.ф. "ПАЛЬМЕТТО"
- 01.15 Спорт за неделю
- 02.15 "Твин-пикс"

### НТВ

- 07.05 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
- 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
- 09.15 фильм "ПЯТНАДЦАТИЛЕТНИЙ КАПИТАН"
- 10.30 На старт!
- 11.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
- 12.25 "Растительная жизнь"
- 13.25 фильм "ПОЕЗД ВНЕ РАСПИСАНИЯ"
- 15.05 Вкусные истории.
- 15.25 Все сразу!
- 16.00 Своя игра.
- 17.25 Ток-шоу "Принцип "Домино"
- 18.30 Очная ставка
- 19.00 Шоу Елены Степаненко.
- 20.30 фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА"
- 21.40 фильм "КИКБОКСЕР-3"
- 23.35 Что? Где? Когда?
- 01.00 Фильм "ЧЕЛОВЕК ИЗ ПЕПЛА"
- 01.55 Пепси-чарт.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

## იაპონური კროსვორდი



### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** ექიმი; ამერიკა; ლარი; ლექსიკა; ფარსი; კარტელი; ვაზი; კარლოსი; ნოინი; კეცი; კეფირი; ჩაი; სეპტიმა; ზღარბი; ბლუ; ფუგასი; კორდა; შამილი; ჰიტი; ანტანტა; ოზონი; პულსი; ქმარი; სილა; ტაში; ეპოსი; ერისიონი; პაი; ღიღილო; ერბო; ოტელი; კოლტი; სირჩა; ეუსებიო; ნექტარი; პეტიცია; ათი.

**შვეულად:** ბაზა; ღამე; პანაცეა; ჰამაკი; კუპე; ციცარი; აშული; ტიფი; როტორი; ლეში; ბრიზი; ელო; პროტეინი; ქოსა; კანონი; ბონი; სალი; ლუკა; სეიმი; ოტო; იესო; სუდანი; სლაი; სუფლე; ლენონი; ასკილი; ტრაპი; არმია; რატუშა; ეკრანი; სარკაზმი; მამლუქი; ინჩასი; პოლ; კალანდა; სურა; იდილია; იდიოტი.

